აჭარა

გამოცემის 104-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№50 (25.178) 27 დეკემბერი, 2024 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 13-18, მთიან რაიონებში - 8-13 გრადუსი სითბო, მაღალ მთაში - 0-5 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 12 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 762 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია წვიმა, მაღალ მთაში - თოვა.

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

ბათუმში ნაძვის ხე აინთო

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

ბათუმში მთავარი ნაძვის ხე საზეიმო ვითარებაში აინთო.

ბათუმის მერიის ინფორმაციით, დღის განმავლობაში მიმდინარეობდა სხვადასხვა სახის საბავშვო ღონისძიება. ნაძვის ხის ანთების ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს საბავშვო ევროვიზიის გამარჯვებულმა ანდრია ფუტკარაძემ, ანასტასია ვასაძემ და ნიაკო გოგიტიძემ. ღონისძიება ჯგუფ „ალილოს“ კონცერტით დასრულდა.

ნაძვის ხის ანთებას ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი დაესწრო. მისი თქმით, წელს მერიამ გადაწყვიტა, რომ მხოლოდ ბავშვებს აენთოთ ნაძვის ხე.

ციტრუსის მოსავლის აღება-დაბინავების პროცესს გაეცნენ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრ დავით სონღულაშვითან და აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრ ზაზა შავაძესთან ერთად, ციტრუსის მოსავლის აღება-დაბინავების პროცესს ქობულეთის მუნიციპალიტეტში გაეცნო, - ინფორმაციას ამის შესახებ აჭარის მთავრობის პრესსამსახური ავრცელებს.

„აჭარის მთავრობის გადაწყვეტილებით, მიმდინარე წელს, სახელმწიფო სუბსიდია სამრეწველო გადამუშავების (არასტანდარტული) მანდარინზე გასულ წელთან შედარებით 10 თეთრით გაიზარდა და 1 კგ-ზე 35 თეთრს შეადგენს. შესაბამისად, გადამუშავებისთვის განკუთვნილი მანდარინის ფასი 40 თეთრია, საიდანაც ფერმერებს 5 თეთრს საწარმო უხდის.

ხელისუფლების წარმომადგენლები ციტრუსის მიმღებ-გადამამუშავებელ საწარმოში შპს „იბერია ორბის ციტრუსი“ იმყოფებოდნენ, სადაც 200-მდე ადამიანია დასაქმებული.

საწარმო 24 საათის განმავლობაში 120 ტონა ციტრუსის ნაყოფის მიღება-დახარისხებას და პარაფინირებას ახორციელებს. მიმდინარე წელს, საწარმო 1000 ტონამდე სტანდარტული ციტრუსის მიღებას და ექსპორტირებას, ასევე არასტანდარტული მანდარინის ჩაბარებას გეგმავს. გადამამუშავებელ საწარმოში ციტრუსის შეფუთვა ევროსტანდარტების მიხედვით მიმდინარეობს.

დავით სონღულაშვილმა და თორნიკე რიყვაძემ არასტანდარტული ციტრუსის მიმღებ-გადამამუშავებელი ქარხანაც შპს „Georgian industrial Asset Management Group“ დაათვალიერეს, რომელმაც ნედლეულის მიღება 30 ნოემბერს დაიწყო.

ციტრუსის სეზონის შეუფერხებლად განხორციელებისა და რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, აჭარაში ციტრუსის საკოორდინაციო შტაბი მოქმედებს. შტაბი 1 თებერვლამდე იმუშავებს.

აჭარაში საექსპორტო მანდარინს 20-ზე მეტი ციტრუსის მიმღებ-დამხარისხებელი საწარმო, ხოლო არასტანდარტულ ნაყოფს ქობულეთის მუნიციპალიტეტში არსებული ორი გადამამუშავებელი ქარხანა შეუფერხებლად იბარებს.

დღეის მდგომარეობით, 28 ათას ტონამდე მანდარინის ექსპორტი უკვე განხორციელდა, რომლის ღირებულებამ 15.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა; გადამუშავდა 5 400 ტონა არასტანდარტული ნაყოფი, რისთვისაც 1.9 მლნ ლარის სუბსიდია გაიცა“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

„აჭარაში აქტიურად და შეუფერხებლად მიმდინარეობს ციტრუსის დაბინავების პროცესი, რომელსაც ადგილზე გავეცანი. ამ ეტაპზე, 28 000 ტონაზე მეტი ციტრუსი უკვე ექსპორტირებულია სხვადასხვა ბაზარზე. კოორდინირებული მუშაობით მოსავალი სრულად იქნება დაბინავებული. აღსანიშნავია, რომ აჭარის მთავრობა ფერმერების მხარდასაჭერად არაერთ პროგრამას ახორციელებს, რომელიც სოფლის მეურნეობის პროდუქტის როგორც წარმოებას, ასევე გადამუშავებას უწყობს ხელს.

ვიმყოფებოდით გადამამუშავებელ საწარმოშიც, რომელიც ახლახან გაიხსნა. მსგავსი საწარმოს ფუნქციონირება რეგიონისთვის უმნიშვნელოვანესია. ჩვენი მხრიდან ფერმერების და მეწარმეების მაქსიმალური მხარდაჭერა გაგრძელდება“, - განაცხადა დავით სონღულაშვილმა.

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

ჩვენი თანაქალაქელების წინასაახალწლო გზავნილები

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

2025 წელი, რთული პოლიტიკური გარემოს მიუხედავად, საქართველოსთვის ახალი იმედებითა და მიზნებით იწყება! ტრადიციულად, წინასაახალწლოდ, გაზეთი „აჭარა“ სიხარულისა და ერთიანობის გამომხატველია, რადგან ჩვენი რესპონდენტები მისი ფურცლებიდან სიყვარულსა და კეთილ სურვილებს გვიზიარებენ. წლევანდელ ახალ წელს სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები - მსახიობები, პოლიტიკოსები, პოეტები, აჭარის ცნობილი სახეები განსაკუთრებულად გულთბილი მილოცვებით ხვდებიან. თითოეული მილოცვა არა მხოლოდ ახალი წლის დადგომის სიხარულს გამოხატავს, არამედ იმედით სავსე გზავნილს, რომელიც უკეთესი მომავლისკენაა მიმართული. ისინი კიდევ ერთხელ გვახსენებენ, რომ უპირველესი, რაც განვითარებისა და პროგრესისკენ წაგვიყვანს, არის სიყვარული, ერთიანობა და რწმენა.



ლაშა ჩხარტიშვილი - თეატრის მკვლევარი, კრიტიკოსი: - ჩემს მშობლიურ თანაქალაქელებს და სრულიად საქართველოს ვულოცავ ახალ წელს! ვისურვებდი, თითოეულ ოჯახში ამ წელს მოეტანოს სტაბილურობა, კეთილდღეობა, ბედნიერება და სიხარული. მეტად გვიყვარდეს ერთმანეთი და სიყვარულით გვემსახუროს ჩვენი ქვეყნისთვის!

მამუკა მანჯგალაძე - მსახიობი: - დამდეგ შობა-ახალ წელს ვულოცავ სრულიად საქართველოს! ბედნიერების, მშვიდობის და წარმატების მომტანი წელი ყოფილიყოს. ვისურვებდი, მეტი სიყვარული და პატივისცემა გვქონოდეს ერთმანეთის მიმართ და მჯერა, ძალიან მალე, რა გზასაც დაადგა ჩვენი ქვეყანა, ის გზა მიგვიყვანს ევროპასთან. რა თქმა უნდა, ჩვენი გზა და ხსნა ევროპაშია!

მეგი კოზალაძე - მსახიობი: - ძვირფასო ქართველებო, გილოცავთ დამდეგ 2025 წელს! ევროპული მომავალი ჩვენი ქვეყნის გარდაუვალი გზაა, გზა თავისუფლების და ჩვენი ევროპული მომავლის. ჩვენ ერთად ავაშენებთ ძლიერ საქართველოს! გისურვებთ მშვიდობას, თავისუფლებას და ერთიანობას!

ქეთევან მანელიშვილი - მუსიკოსი: - გილოცავთ დამდეგ ახალ წელს! ვისურვებდი, სულ მალე გვეცხოვროს ბედნიერად და უზრუნველად ევროპულ საქართველოში!

გიორგი მასალკინი - პროფესორი, ფილოსოფორი: - გილოცავთ დამდეგ 2025 წელს! ქართველ ხალხს და საქართველოს ვუსურვებდი ბევრ ისეთ უინტერესო დღეებს, როდესაც ტელევიზიები გვამცნობენ: დღეს არავითარი უბედურება და სკანდალი არ მომხდარა, არავის არანაირი სისულელე არ ჩაუდენია, არავის ერთმანეთი საჯაროდ არ უგინებია!

ვახტანგ ღლონტი - პოეტი:

გილოცავ, ჩემო სამშობლოვ,
ცოცხლები რომ ვართ, გილოცავ...
თაფლის გემო აქვს შენს შხამსაც,
ცრემლის გემო აქვს ღვინოსაც.
რით მოდის წელი ახალი -
რა ღმერთმა დაადგინოსა...
აწყობს კი, ჯვარი და ვაზი,
ნეო ნოეს და ნინოსა?!
არ დალეოდეს
პატრონი
შენს ხიხანსა და
ხინოსა...
მოყვარეს
გახარებოდეს,
მოძულეს მოეწყინოსა.
გილოცავ, ჩემო
სამშობლოვ,
წესი არის და, გილოცავ...
გეპოვოს შენი ადგილი
უპოვარ-უადგილოსა!

(ციკლიდან „წამოკრულები“)
31.12.2016 წ.

გენრი დოლიძე - პოეტი: - სრულიად საქართველოს ვულოცავ დამდეგ 2025 წელს! დაე, ყოფილიყოს ეს წელი ჩვენი ქვეყნისა და ხალხის გაერთიანების, გაძლიერების და წარმატების მომტანი! ხვავი, ბარაქა, ეროვნული თანხმობა და ევროპა დაგვებედოს!

ტიტე აროშიძე - პოლიტიკოსი: - საქართველოს ისტორიაში ძნელად თუ მოიძებნება პერიოდი, როდესაც მშვიდი და სტაბილური ცხოვრება გვქონდა. თითქმის ყოველ ათწლეულში ერთხელ ომიანობის ჟამი გვედგა, რაც ჩვენი ქვეყნის საზღვრების და მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვას უკავშირდებოდა. სამწუხაროა, რომ დღეს გარკვეული რადიკალური ძალები ცდილობენ, ქაოსმა და არეულობამ დაისადგუროს ქვეყანაში, თუმცა იმედი მაქვს, კომპრომისი გამოინახება და მშვიდობიანი თანაცხოვრება გაგრძელდება, რადგან მშვიდობას ალტერნატივა არ გააჩნია. მიუხედავად არსებული სიტუაციისა, სადაც ნათლად გამოჩნდა ქვეყნის არაკეთილმოსურნეების ძალისხმევა. ქვეყანამ მოახერხა, 2024 წელი ყოფილიყო თვითმყოფადობის შენარჩუნების წელი, მოხერხდა ის, რომ უმთავრეს პოზიციაზე გადმოინაცვლა ქვეყნის ღირსებამ, იმ ღირებულებებმა, რომელიც ამ ბოლო ასწლეულის განმავლობაში თითქოს მინავლებული იყო. 2024 წელს თამამად დავარქმევდი „ქართული ღირსების წელს“, მომავალში სწორედ ეს იქნება ის გარემოება, რომელიც ჩვენი ქვეყნის სანუკვარ ოცნებას აახდენს, მშვიდობით და კეთილდღეობით გავწევრიანდებით ევროკავშირში, თანაბარი და სრულუფლებიანი წევრის სტატუსით და არა შანტაჟის და თავსმოხვეული „უფროსი ძმის“ ბრძანებების უპირობო შესრულებით. რადგან ახალი წელი იმედების ახდენასთან ასოცირდება, რამდენიმე საკვანძო სურვილით შემოვიფარგლები: პირველ რიგში, სრულიად საქართველოს მოსახლეობას მინდა ვუსურვო მშვიდობა, რომელიც ქვეყნის განვითარების ქვაკუთხედი და ძირითადი მიზანია; უფლის მიმართ სიყვარული - ათასწლეულების განმავლობაში უდრეკად დგას ჯვარი და სვეტიცხოველი - რწმენის სიმბოლო, უფლისადმი უსაზღვრო მოწიწების და ქრისტიანობის ციტადელი; სიმტკიცე და გაუტეხლობა - ქართული ხასიათის დიდებული გამოვლინება, რაც მთელ სამყაროში გამოგვარჩევს და სხვების მხრიდან პატივისცემის საფუძველს ქმნის; ეკონომიკური თვითკმარობა - „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდეს“, რაც ქვეყნის რეალური დამოუკიდებლობის სიმბოლოს წარმოადგენს; ერთად დგომა და ერთიანობა - უმეტეს შემთხვევაში დაქსაქსვა და პოლარიზება არის ის, რაც ასუსტებს ჩვენი ქვეყნის აწმყოსა და მომავალს; უფრო ნაკითხი თაობა - ქვეყნის ბედნიერი მომავლის საწინდარი. ამ სურვილების ასრულებისთანავე, დარწმუნებული ვარ, ომის და ნგრევის გარეშე აღდგება ტერიტორიული მთლიანობა და აფხაზ და ოს ძმებთან ერთად ვიზეიმებთ ქვეყნის წარმატებას და წინსვლას. ღმერთმა დალოცოს სრულიად საქართველო!

საახალწლო სურვილები – სათნოების სახლიდან

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

სათნოების სახლისკენ მიმავალი გზა სევდის მომგვრელია, თუმცა ერთგვარ სიხარულთანაც ასოცირდება. იქ მცხოვრებთ ხომ განსაკუთრებით უხარიათ სტუმრის მისვლა, რაც ერთფეროვან ცხოვრებას ულამაზებს მათ, ამ დროს სევდიან თვალებს ღიმილი ცვლის. აქ ახალი წლის დღესასწაულიც განსაკუთრებით უყვართ, თავშესაფრის ბინადრების ცხოვრებას ასეთი დღეები ამრავალფეროვნებს

მეც სახალწლოდ ბათუმის წმინდა მოწამე ეკატერინეს სახელობის სათნოების სახლ „სავანეს“ ვეწვიე და იქ მცხოვრები მოხუცების სურვილები „წამოგიღეთ“. ბენეფიციარების თხოვნით, მათ ვინაობას კონფიდენციალურს ვტოვებ. მისაღებ ოთახში რომ შევედი, ლაპარაკში იყვნენ გართულები და ამ ცხოვრების ვაი-ვაგლახს ერთმანეთს უზიარებდნენ. ზოგიერთი ნაძვის ხესთან იჯდა, როგორც პატარა ბავშვი და მოციმციმე თვალებით ჩაუთქვამდა სურვილებს.

ამ სათნოების სახლში მცხოვრებ ხანდაზმულებს არ ჰყავთ ოჯახები, ან ჰყავთ, მაგრამ იშვიათად აკითხავენ. არიან ისეთები, რომლებიც 20 წლის უნახავ შვილებს ელოდებიან და მათთან მხოლოდ სატელეფონო კონტაქტი აქვთ, ისიც - კვირაში ერთი-ორჯერ. სათნოების სახლში შეხვდებით მათაც, ვისაც სახლი არ აქვთ და სათნოების სახლი იქცა ერთადერთ კერად. ბენეფიციართა შორის არიან ადამიანები, რომლებიც მძიმედ არიან ავად, ოჯახის წევრებმა მათი მოვლა ვერ შეძლეს, ჰოდა, „სავანე“ იქცა მათთვის ლაზარეთადაც და თბილ სახლადაც.

სათნოების სახლს დილით ვეწვიე და შესაბამისად, იქ მცხოვრებნი საკუთარ ოთახებში დიასახლისობდნენ. მეც მიმიპატიჟეს. ქალბატონი იზოლდა თავის ოთახში საკუთარი, საახალწლო ლექსით დამხვდა და სურვილებთან ერთად მისი ამონარიდიც თან გამომაყოლა:

- პირველ რიგში, მინდა საკუთარ თავს და თქვენ გისურვოთ ჯანმრთელობა და მშვიდობა, ასევე, ბედნიერი ცხოვრება. მინდა ჩემი ლექსით მივულოცო ყველას დამდეგი ახალი წელი.

შენ, წელიწადო ახალო,
გელის ლხენით მთელი ერი,
ყოფილიყავ ქართველთათვის
უტკბესი და ბედნიერი.

ქალბატონ იზოლდას მხოლოდ საკუთარი დის იმედი აქვს, რომელიც, როგორც თავად მითხრა, თვეში ერთხელ აკითხავს.

შემდეგი გაჩერება მესამე სართული იყო, სადაც მამაკაცი ბენეფიციარები იმყოფებიან. ბევრ მათგანს ჯანმრთელობის პრობლემა აქვს.

ტელევიზორთან მჯდარ ერთ-ერთ ბაბუს გვერდით ჩამოვუჯექი და ვკითხე, რაზე ოცნებობთ-მეთქი. მისმა პასუხმა უდიდესი სევდა მომგვარა. აღმოჩნდა, რომ ის 20 წელია, სათნოების სახლის ბენეფიციარია და შვილების მონატრებას გულით დაატარებს.

- შვილები 20 წელია, არ მინახავს, ძალიან მენატრებიან და ღმერთის ნებით, უცხოეთიდან მანამ დაბრუნდებიან, სანამ ცოცხალი ვარ, - მითხრა მან. საახალწლო სურვილიც ასეთი უნდა!..

ბაბუ შვილების ნახვასთან ერთად უფალს ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს სთხოვს. როცა ვკითხე, როგორ მოხვდა სათნოების სახლში, თითქოს ყელში ბურთი გაეჩხირა, ვიგრძენი, რომ ამ შეკითხვამ ძალიან დაასევდიანა, მის აცრემლებულ თვალებში და ნაღვლიან ღიმილში ამოვიკითხე პასუხიც...

ბევრი მათგანის სურვილი სახლში დაბრუნებაა, იმ სახლში, სადაც ოდესღაც ჟრიამული იყო.

მილიონი ლარი ყველას გვინდა, მაგრამ იქ მყოფი ერთ-ერთი მოხუცისთვის ეს თანხა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. „მილიონის მოგება მინდა, რადგან სახლს ვიყიდი და იქ ვიცხოვრებ“, - მითხრა მან.

ბენეფიციარები ხშირად ნარდის თამაშით ირთობენ თავს, გარდა ამისა, კითხულობენ წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს და უყურებენ ტელევიზორს. სხვათა შორის, ძალიან კარგად ერკვევიან მიმდინარე მოვლენებში და საკუთარი მყარი პოზიციაც გააჩნიათ.

მოსასვენებელ ოთახში ნარდის გამალებულ თამაშსაც არ შეუშლია ხელი, ჩემთან ესაუბრათ.

სათნოების სახლი ოცნებებით და სურვილებითაა დახუნძლული. მათ შორისაა ყველაზე სანუკვარი და გულწრფელი ოცნება საკუთარ სახლსა და ახალი წლის იქ გატარებაზე.

ერთ-ერთმა ხანდაზმულმა, რომელსაც ორი წელია შვილები არ უნახავს, დამშვიდობებისას გამანდო სურვილი, რომლის თქმაც თავიდან იუხერხულა, მაგრამ ბოლოს მორცხვად მითხრა: „სახლში მინდა“... მას ინსულტი აქვს მძიმე ფორმებში და როგორც თავად თქვა, შვილებმა გადაწყვიტეს, სათნოების სახლში მოეთავსებინათ, იქ კარგად მოვლის იმედით. ეს იმედი კი გამართლდა, მაგრამ...

შეიძლება მათ არ ჰყავდეთ ოჯახის წევრები, ნათესავები, ახლობლები, არ ჰქონდეთ საკუთარი სახლი, სამაგიეროდ, ჰყავთ ერთმანეთი და ერთმანეთის იმედად აგრძელებენ ცხოვრება. ბევრმა მითხრა, რომ აქ ისე გრძნობს თავს, როგორც საკუთარ სახლში, რადგან ყურადღებას არ აკლებს პერსონალი და სათნოების სახლის ხელმძღვანელი მამა იოანე ბარამიძე.

- როგორც ყველა ქართულ ოჯახში ხდება, ჩვენც ერთად ველოდებით და ვხვდებით ახალ წელს, ჭიქა ღვინით ხელში. ვცდილობთ, რომ ახალი წლის განწყობა იყოს მხიარული, ერთმანეთის მოფერებისა და სიყვარულის გაზიარება, - მითხრა მამა იოანე ბარამიძემ.

მისივე თქმით, საპატრიარქოსთან ერთად სათნოების სახლს ქალაქის მერიაც დიდ დახმარებას უწევს.

- ქალაქის მერია ძალიან დიდ დახმარებას გვიწევს ყველა საქმეში და ამისთვის დიდი მადლობა მინდა გადავუხადო. ა(ა)იპ-ი ვართ და ჩვენი დახმარება არ არის მომგებიანი, ეს, უბრალოდ, კარგი საქმის კეთებაა. ამჟამად, ჩვენთან 130 ადგილია და ყველა შევსებულია. მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ მივიღოთ ის ადამიანები, რომლებმაც ბანკების მეშვეობით სახლები დაკარგეს და ქუჩაში აღმოჩნდნენ, მიტოვებულები ნათესავებისგან და ოჯახის წევრებისგან. ვცდილობთ, რომ შევუმსუბუქოთ ამ ადამიანებს ცხოვრება და ჰქონდეთ ოჯახური გარემო. ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ მათ სითბოსა და სიყვარულში იცხოვრონ.

დასასრულ, მამა იოანემ საახალწლო სურვილიც გაგვიზიარა:

- ახალ წელს ადამიანი უნდა დაფიქრდეს განვლილ წლებზე, უნდა შეიმეცნოს ძველი შეცდომები და ახალი წელი უნდა დაიწყოს ამ შეცდომებისა და საკუთარი ნაკლის გამოსწორებით. ერთმანეთს გული არაფრის გამო არ უნდა ვატკინოთ, თუნდაც პოლიტიკური პოზიციის გამო. ყველა ადამიანი ინდივიდუალურად ფიქრობს და თითოეულს გვაქვს სრული უფლება, რომ ჩვენი აზრი და დამოკიდებულება გამოვხატოთ. ერთი ქვეყანა გვაქვს, ხვალ და ზეგ ერთმანეთს უნდა შევხვდეთ და ხელი ჩამოვართვათ. ახლო წარსული რომ გავიხსენოთ, ასეთმა დაყოფამ ქართველი ერი ძალიან დიდ დაპირისპირებამდე მიიყვანა. მინდა ჩვენს ქვეყანასა და ხალხს ვუსურვო მშვიდობა, წარმატება, სიხარული და ბედნიერება. გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

დიდი სიყვარულით დავემშვიდობე ბენეფიციარებს და საკუთარ თავს აღვუთქვი, რომ აუცილებლად კვლავ შევხვდები მათ.

„სწორედ ის პოლიციელები იბრძოდნენ 2008 წლის ომში, რომლებსაც ახლა მაშხალებით აზიანებენ და დასაწვავად იმეტებენ“

ირმა ცეცხლაძე 577 10 15 17

საქართველოში კვლავ ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები კეთდება. როგორც იქნა, ეუთო/ოდირმა საბოლოო დასკვნა გამოაქვეყნა, რასაც პოზიცია-ოპოზიციის მხრიდან ურთიერთსაპირისპირო ინტერპრეტაციები მოჰყვა. ევროკავშირის გენერალური მდივნის ალენ ბერსეს საქართველოში ვიზიტიც სხვადასხვაგვარად შეაფასეს მმართველი გუნდისა და ოპოზიციის წარმომადგენლებმა. ამ საკითხებზე, ქვეყანაში მიმდინარე აქციებსა და პრეზიდენტის ინაუგურაციის სამართლებრივ ასპექტებზე გთავაზობთ ინტერვიუს აჭარის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ***ტიტე აროშიძესთან.***

- თავდაპირველად, მოკლედ მიმოვიხილოთ საქართველოში ამ ბოლო დროს მიმდინარე მოვლენები...

- მოგეხსენებათ, მასობრივი გამოსვლები დაიწყო მას შემდეგ, რაც პრემიერმა ირაკლი კობახიძემ დააანონსა, რომ 2028 წლამდე მთავრობა არ დააყენებს ევროკავშირთან წევრობის შესახებ მოლაპარაკებების გახსნის საკითხს, რადგან 2030 წლამდე ევროკავშირის გაფართოება არ იგეგმება. აღსანიშნავია, რომ პრემიერის ბრიფინგამდე, ოპოზიციის წარმომადგენლებმა ევროკავშირში წერილი გააგზავნეს მოთხოვნით, შეეჩერებინა საქართველოსთვის მიზნობრივად გამოყოფილი გრანტები (ეს წერილი და მტკიცებულებებიც არსებობს). ისინი ცდილობდნენ, შეწყვეტილიყო საქართველოსთვის ფინანსური დახმარებები, ანუ, ფაქტობრივად, ულტიმატუმს უყენებდნენ ევროკავშირს, რაც, უდავოდ, მოღალატეობრივ ქმედებად და საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიზანმიმართულ მავნებლობად შეიძლება ჩაითვალოს.

- რაში სჭირდებოდათ მსგავსი ულტიმატუმი? თავად ოპოზიცია ხომ აანონსებდა, რომ ევროკავშირი წყვეტს დაფინანსებას ახალარჩეული მთავრობის გამო.

- ეს ულტიმატუმი მათი ერთადერთი ხელჩასაჭიდი შანსი იყო. დასავლური დაფინანსების შეწყვეტით ხალხში უკმაყოფილებას დათესავდნენ. გააპიარებდნენ, რომ თითქოს პრემიერის განცხადების და ეგრეთ წოდებული რუსული კანონის შემოღების გამო გვიწყვეტდა ევროკავშირი დაფინანსებას. მოკლედ, ძალიან ვერაგულად მოქმედებდნენ, მაგრამ მაინც ვერ შეძლეს საკმაო რაოდენობის მხარდამჭერების აქციებზე გამოყვანა, თუმცა, კობახიძის განცხადების არასწორი ინტერპრეტაცია წარმატებით მოახერხეს, რასაც მოჰყვა აქციების ახალი ტალღა. ითამაშეს ახალგაზრდების გამოუცდელობასა და პატრიოტიზმზე, მათ დაუკვირვებლობაზე, შეცვალეს პრემიერის განცხადების კონტექსტი, თითქოს ჩვენ უარი ვთქვით ევროპაზე და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ - მასობრივი სახალხო პროტესტი. ეს იყო აბსოლუტურად უსამართლო, დაუმსახურებლად აგორებული შავი პიარი. ახლა ამაზე აღარ შევჩერდები, ვიცით, რა ნარატივიც იყო იმ პერიოდში, თუმცა ცხადია, რომ ბოლოდროინდელმა მოვლენებმა სრულიად შეცვალა ეს სურათი. შეიძლება მარტივად ითქვას, რომ დღეს აქციები მილევად რეჟიმშია, იკლო ხალხმა, აღარ ერთვებიან ოპოზიციის თამაშებში, რადგან ყველა ხედავს, რომ მათ სათქმელი აღარაფერი დარჩათ, მხოლოდ „ოცნების“ წინააღმდეგ მიმართულ არაკებს იგონებენ, რათა ხალხი დააბნიონ და ისევ მიიზიდონ საპროტესტო აქციებზე. დგამენ შოუებს, პერფორმანსებს, ახალ-ახალ გამოსვლებს აწყობენ სახელწოდებით „აჭარლების მარში“ თუ „ბებია-ბაბუების მარში“, ასევე, სხვა სისულელეებს აკეთებენ, რადგან რესურსი, ფაქტობრივად, ამოეწურათ. ცდილობენ, ტემპი არ დააგდონ, თუმცა ფაქტია, რომ აღარაფერი შველით.

- აქციებზე სიტყვით გამომსვლელები რას ითხოვენ?

- ამბობენ, რომ წინააღმდეგი არიან იმ გადაწყვეტილებების, რომლებიც მიღებული იყო, თუმცა თავადაც ვერ ხსნიან, ვერ ხვდებიან, რა გადაწყვეტილებებზე და რა კონტექსტშია საუბარი. მათ არ აინტერესებთ არავითარი ლოგიკური ახსნა-განმარტება. როდესაც ელაპარაკები, არ გისმენენ.

- რა უნდა მოიმოქმედოს ხელისუფლებამ პროცესების დასარეგულირებლად?

- ყველაფერი თავისი წესით მიდის. როგორც უკვე აღვნიშნე, სახალხო გამოსვლები მილევად რეჟიმშია. ძალიან კარგად ჩანს, რომ ყველაფერ ამას აქვს დემარშის ხასიათი, რომელიც იკვებება მთავრობის საწინააღმდეგო ხელოვნურად შექმნილი განწყობებით, ასე იწვევენ ახალგაზრდების არაადეკვატურ ქმედებებს, თუმცა საბოლოოდ ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა. რაც შეეხება ხელისუფლებას - დგას თავის სიმაღლეზე. მიმდინარე აქციები ხელს არ გვიშლის, ნელ-ნელა გადავეწყოთ საპარლამენტო საქმიანობაზე. წინ არის პრეზიდენტის ინაუგურაცია. შესაბამისად, საქართველო გააგრძელებს ევროპისკენ მიმავალ გზაზე აუცილებელი აქტივობების განხორციელებას და ყოფითი თუ საგარეო პრობლემების მოგვარებას.

- რაც შეეხება ინაუგურაციას, როგორც ვიცით, მოქმედი პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი არ თმობს პოსტს და თავს ქვეყანაში ერთადერთ ლეგიტიმურ ხელისუფლად აცხადებს.

- დავიწყოთ იმით, როდესაც კონსტიტუციაში შევიდა ცვლილება და ჩვენ ჩავწერეთ, რომ პრეზიდენტი არ აირჩეოდა პირდაპირი გზით. ამას მაშინ მთელი ოპოზიცია დაეთანხმა. მოგეხსენებათ, საპარლამენტო რესპუბლიკაში საპრეზიდენტო ფუნქციები იმდენად შემცირებულია, ფაქტობრივად, სიმბოლური ხასიათი აქვს. აქედან გამომდინარე, მატერიალური რესურსის და დამატებითი დროის ხარჯვა საპრეზიდენტო არჩევნებისთვის სრულიად ზედმეტად მიიჩნია ყველამ. ამასთან, 2024 წელს ჩვენ გადავედით არჩევნების სრულად პროპორციულ სისტემაზე, რასაც მანამდე დაჟინებით ითხოვდა ოპოზიცია. ყველას ყველაფერი აწყობდა... როგორც იცით, არჩევნების შემდეგ ისინი ზეიმობდნენ კიდეც გამარჯვებას და არაფერი გაუპროტესტებიათ, მაგრამ როგორც კი შედეგი საპირისპირო აღმოჩნდა - გაიმარჯვა სახელისუფლებო გუნდმა, ოპოზიციამ მაშინვე შერაცხა არჩევნები გაყალბებულად. ეს მათი ხაზია და ვერავინ წაართმევს. უკვე მივეჩვიეთ და ჩვეულებრივ მოვლენად აღვიქვამთ, დღეს ერთს რომ ამბობენ და ხვალ - სხვას. ამიტომ სერიოზულად ვეღარ ვიღებთ მათ განცხადებებს. რაც შეეხება პრეზიდენტის არჩევას, თავისუფლად შეეძლოთ საკუთარი კანდიდატის წამოყენება და ამ კუთხით მონაწილეობა არაპირდაპირ არჩევნებში. მოგების საკმაოდ კარგი რესურსი ჰქონდათ. ებრძოლათ საკუთარი კანდიდატისთვის, ვინ უშლიდათ? მუნიციპალიტეტების ხარჯზე წინ იქნებოდნენ, რადგან იქ საკმაოდ ბევრი წარმომადგენელი ჰყავთ, მაგრამ რატომღაც ეს არ მიიჩნიეს მიზანშეწონილად. შესაბამისად, დარჩა მიხეილ ყაველაშვილის კანდიდატურა, რომელიც კონსტიტუციის სრული დაცვით ავირჩიეთ პრეზიდენტად და 29-ში, ინაუგურაციის შემდეგ, შეუდგება საკუთარი მოვალეობების შესრულებას. რაც შეეხება სალომე ზურაბიშვილს, მან თავის ანტიკონსტიტუციურ ქმედებებს მიუმატა კიდევ ერთი - არ ჩანიშნა ახალი პარლამენტის და აჭარის უმაღლესი საბჭოს შეკრების თარიღები. საკანონმდებლო ორგანოებს გარკვეულ ვადაში ჰქონდათ პირველი სხდომის ჩატარების ვალდებულება. სწორედ ამიტომ ორივე (პარლამენტი, უმაღლესი საბჭო) შეიკრიბა. პირველი სხდომის ჩატარებისთანავე, უმრავლესობამ მიიღო გადაწყვეტილებები, დაამტკიცა მთავრობა და შეუდგა საპარლამენტო საქმიანობას. შემდეგ უკვე მომზადდა საპრეზიდენტო არჩევნები, რომელიც უნდა ჩაეტარებინა პარლამენტს, აჭარის და აფხაზეთის უმაღლეს საბჭოებს და საკრებულოების ოპოზიცია-პოზიციის წარმომადგენლებს.

- ეუთო/ოდირის დასკვნას ორივე მხარე პოზიტიურად შეხვდა. ოპოზიცია ამტკიცებს, რომ ვადამდელი არჩევნები უნდა დაინიშნოს, ხოლო ხელისუფლებამ, დასკვნის მიხედვით, არჩევნები ლეგიტიმურად ჩათვალა. როგორ ახსნით ამ ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს?

- არჩევნების დასრულებისთანავე, როდესაც ეუთო/ოდირმა შუალედური დასკვნა გამოაქვეყნა, ოპოზიცია თავს დაესხა და, პრაქტიკულად, ბულინგის ქვეშ მოაქცია მისი წარმომადგენლობა საქართველოში. მიწერეს, რომ მოსყიდულები არიან და ადგილობრივ მთავრობას უჭერენ მხარს, არადა მსოფლიოში ერთადერთი ორგანიზაციაა, რომელსაც შეუბღალავი რეპუტაცია აქვს და მხოლოდ ფაქტებზე დაყრდნობით აქვეყნებს არჩევნების შესახებ დასკვნებს. ეს ხდება მსოფლიოს ყველა მოწინავე ქვეყანაში, მათ შორის აშშ-ც და ჯერ არავის შეუტანია ეჭვი ეუთო/ოდირის კომპეტენტურობაში... მისი საბოლოო დასკვნა გახლავთ შუალედური დასკვნის გაგრძელება, სადაც ნათქვამია, რომ საქართველოს მთავრობამ და ახლად არჩეულმა პარლამენტმა უნდა უზრუნველყონ რეკომენდაციების გათვალისწინება და უპასუხონ შეკითხვებს, რომლებიც გაწერილია დასკვნაში. ეს ცალსახად ადასტურებს, რომ 26 ოქტომბერს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები ლეგიტიმურია.

- ოპოზიცია თვლის, რომ რეკომენდაციები და შენიშვნები მძიმეა, ხოლო ეუთო/ოდირი, ზოგადად, არასოდეს იღებს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, ანუ არსად აცხადებს არჩევნებს არალეგიტიმურად.

- დიახ, მესმის, რომ მძიმეა ეს შენიშვნები, მაგრამ თანახმა ვართ, რომ გავაანალიზოთ. რაღაცაში ვეთანხმებით, რაღაცაში გვაქვს საკუთარი პოზიცია, რომელიც სუბიექტური დამოკიდებულებიდან კი არა, კანონმდებლობიდან და კონსტიტუციიდან გამომდინარეობს. რაც შეეხება გაყალბებას, ამაზე არაფერია ნათქვამი. უბრალოდ, წერია, რომ იყო დაძაბული სიტუაცია, ამომრჩევლებზე, ჟურნალისტებზე ზეწოლა და სხვა. ამაზე აუცილებლად გავცემთ კომპეტენტურ პასუხს, ეს არის ოპოზიციის მიერ არასწორად მიწოდებული უსაფუძვლო ბრალდებები, რაც დადასტურდება მოლაპარაკების მაგიდასთან ამ დასკვნების გასაანალიზებლად. რაც შეეხება ოპოზიციის განცხადებებს, ეს მათი ბოლო გაფართხალებაა, რადგან სულმოუთქმელად ელოდნენ ეუთო/ოდირის დასკვნას და როგორც კი ამოიკითხეს, რომ არჩევნები ჩატარებულად ითვლება, აგონიის რეჟიმში აღმოჩნდნენ. მათი სიცრუის მანქანა ჯერ კიდევ მოქმედებს, მაგრამ მალე გაჩერდება. ეს იცის ხალხმა და სწორედ ამიტომ შემცირდა მათ აქციებზე აქტივისტების რაოდენობა.

- ანუ შეწყდება საპროტესტო აქციები?

- ასე უცებ არა მგონია, შეწყდეს. ამ აქციებს ექნება პერმანენტული ხასიათი. განსაკუთრებით ამოძრავდებიან 29 დეკემბერს. დარწმუნებული ვარ, ყოფილი პრეზიდენტი განაცხადებს, რომ მხოლოდ ის არის ლეგიტიმური ხელისუფლება, რასაც მოჰყვება ვნებათაღელვა, თუმცა ესეც ჩაივლის ისე, რომ არ დაზარალდება სახელმწიფოებრიობა, ჩვენ კი მოვიქცევით ისე, როგორც ამას კონსტიტუცია და მოქმედი კანონები გვკარნახობს.

- ბატონო ტიტე, რატომ არ შეხვდა ევროკავშირის გენერალურ მდივან ალენ ბერსეს ოპოზიციური პარტიების ნაწილი?

- რატომ შეხვდებოდნენ, როდესაც მათ მოუწოდა მოლაპარაკების მაგიდასთან შეკრება მხარეების მოსარიგებლად, სიტუაციის განსამუხტად და შექმნილი ვითარების დეტალების გასარკვევად?! მათ არაფრის გარკვევა არ სურთ, პირდაპირ გამოაცხადეს, ჩვენი ერთადერთი მიზანი ვადამდელი არჩევნების დანიშვნაა, სხვა სახის მოლაპარაკებები არ გვაინტერესებსო. არც მალავენ, რომ მათი სურვილია ამჟამინდელი ხელისუფლების იმ ძალებით ჩანაცვლება, 2012 წლამდე რომ ბოგინობდა საქართველოში, ატერორებდა ბიზნესს, ზღუდავდა, დევნიდა თავისუფალ მედიას და ამწარებდა მოსახლეობას. მათ არც პრემიერთან მოლაპარაკება მოინდომეს, თუმცა ირაკლი კობახიძემ არაერთხელ მიმართა ამ წინადადებით. აქციებზე რომ მოიკითხოთ, გეტყვიან, ხელისუფლება არ მოდის შეხვედრაზეო, არადა, პირველივე

> ***„ ხელს არ აძლევთ სიტუაციის განმუხტვა და ამიტომ დაიწყეს თავდასხმები ევროკავშირის გენერალურ მდივანზე... რა არ აკადრეს... ვერ გავიგე, ეს არ არის ევროსაბჭოს გზის დაკეტვის მცდელობა თუ მხოლოდ ჩვენს განაცხადებას ატრიალებენ უკუღმა და შემდეგ ხალხს აგიჟებენ?! თუკი ევროპა სურთ, მის გენერალურ მდივანს ასე რატომ ამცირებენ და კორუფციაში რატომ სდებენ ბრალს?! რაც ახლა ხდება, პარადოქსია, რასაც ისტორია დაარქმევს სახელს***

დღეს დავით უსუფაშვილმაც, ანა დოლიძემაც, თინა ხიდაშელმაც და სხვებმაც უარი უთხრეს პრემიერ-მინისტრს შეხვედრასა და სიტუაციის დარეგულირებაზე. ხელს არ აძლევთ სიტუაციის განმუხტვა და ამიტომ დაიწყეს თავდასხმები ევროკავშირის გენერალურ მდივანზე... რა არ აკადრეს... ვერ გავიგე, ეს არ არის ევროსაბჭოს გზის დაკეტვის მცდელობა თუ მხოლოდ ჩვენს განაცხადებას ატრიალებენ უკუღმა და შემდეგ ხალხს აგიჟებენ?! თუკი ევროპა სურთ, მის გენერალურ მდივანს ასე რატომ ამცირებენ და კორუფციაში რატომ სდებენ ბრალს?! რაც ახლა ხდება, პარადოქსია, რასაც ისტორია დაარქმევს სახელს. თავად ერი გამოარჩევს მოღალატეებს, იმათ, ვინც სახელმწიფოს დესტრუქციას ცდილობს ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით მაშინ, როდესაც ჩვენ ირგვლივ ასეთი მძიმე ვითარებაა: აქეთ - რუსეთ-უკრაინის ომი, იქით - სომხეთ-აზერბაიჯანის ამბავი, ირანისა და ისრაელის კონფლიქტი და სხვა. რეგიონში ვრჩებით ერთადერთ ნათელ წერტილად, რომლის ამ ქარცეცხლში ჩათრევას ცდილობენ ოპონენტების რადიკალური ფრთის წარმომადგენლები. დასკვნის სახით მინდა გითხრათ, რომ სწორედ ის პოლიციელები იბრძოდნენ 2008 წლის ომში, რომლებსაც ახლა ასე გამეტებით ესვრიან პიროტექნიკას და მოლოტოვის კოქტეილებს, მაშხალებით აზიანებენ და დასაწვავად იმეტებენ... და ისევ ისინი დადგებიან ფრონტის წინა ხაზზე ჩვენს დასაცავად, თუკი ოპოზიციის მოღალატეობრივი ქმედებების გამო საქართველოში მეორე ფრონტი გაიხსნა, ხოლო ისინი, ვინც მაშინ საზღვარგარეთ გაიქცა, ისევ ისე გაიქცევა და შორიდან დაიწყებს დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი ტონით მითითებებს სხვადასხვა ლაივ-ჩართვებში... ეს ყველაფერი გამოვლილი გვაქვს და არ ვაპირებთ განმეორებას. სახელმწიფო ინსტიტუცია დღეს დგას სათანადო სიმაღლეზე, საქართველო არის სუვერენული, დამოუკიდებელი ქვეყანა, ლეგიტიმაცია მოგვცა ქართველმა ხალხმა - მილიონ 200 ათასმა მოქალაქემ, ამომრჩეველთა სრულმა უმრავლესობამ დაგვჭირა მხარი. მათ ვერ დავაღალატებთ, გავაგრძელებთ მუშაობას, რათა საქართველოში დაისადგუროს მშვიდობამ და გაგრძელდეს მმართველი პარტიის და ოპოზიციის თანაცხოვრება ჯანსაღი კონკურენციის პრინციპით.

„ყველა ქართველის ოცნებაა, დავუყვეთ ზღვის სანაპიროს და შეუფერხებლად ჩავიდეთ ბიჭვინთაში... ბედნიერი ახალი წელი გქონოდეს, საქართველო!“

ირმა ცეცხლაძე 577 10 15 17

აჭარის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ***ცოტნე ანანიძე*** *გმობს ძალადობას საპროტესტო აქციებზე და აცხადებს, რომ დარბევებზე პასუხისმგებლობა ორივე მხარეს, განსაკუთრებით კი ოპოზიციას ეკისრება, რამდენადაც პიროტექნიკისა და მოლოტოვის კოქტეილების გამოყენებით სასიცოცხლო საფრთხეს უქმნიდნენ სამართალდამცველებს...*

- როგორ შეაფასებთ ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს?

- 28 ნოემბრის შემდეგ განვითარებულ მოვლენებზე არაერთხელ გავაკეთე კომენტარი, მაგრამ ვითარება ისევ დაძაბულია და ვფიქრობ, არ იქნება ზედმეტი, კვლავ განვიხილოთ, რა მოხდა და რას უნდა ველოდოთ ამ კუთხით. ევროკავშირის განცხადების შემდეგ, რომ 2030 წლამდე არ აპირებს არცერთი ქვეყნის წევრობის განხილვას, ამ კუთხით აქტივობა ჩვენ ვერავითარ შედეგს ინტეგრაციის ნაწილში ვერ მოგვცემდა, ამ ინტეგრაციის გენერალური ხაზი გადის ასოცირების ხელშეკრულების, ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ხელშეკრულების შესრულებაზე. სწორედ ეს იყო პრემიერის განაცხადი, რომლის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შედეგად ჩვენი ოპონენტების მხრიდან მივიღეთ საპროტესტო აქციების საკმაოდ მოზრდილი ტალღა. ხაზგასმით ვაცხადებ, რომ არცერთი ფრაზა, არცერთი სიტყვა არ თქმულა, არცერთი ქმედება არ განხორციელებულა, რომელიც საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციას შეაფერხებდა, არც ირაკლი კობახიძის და მთავრობის ან საკანონმდებლო ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან. აქვე ისიც გაიხსენეთ, რომ სწორედ „ქართული ოცნებ-

არც აპირებდნენ ჩასვლას. გადახედეთ იმ პერიოდის მათ სოციალურ ქსელებს, ტექსტების და მიმართვების წერაც არ სურდათ საკუთარი ამომრჩევლებისათვის. რისი იმედი ჰქონდათ, მაინც ვერ გავიგე. მიიღეს ის შედეგი, რაც დათესეს. ახლა რას გვაბრალებენ და რა უნდათ? ძალიან მარტივად აქვთ საქმე აწყობილი - როგორც კი ვერ ააგროვებენ ხმების საჭირო რაოდენობას, შემოჰკრავენ განგაშის ზარს და გაჰკივიან, მოგვატყუეს, ხმები

„ოპოზიციის ნაწილი თავიდანვე შეგნებულად არ შეხვდა, გამოუცხადა ბოიკოტი ბერსეს, ხოლო როგორც კი გენერალურმა მდივანმა პრესკონფერენცია გამართა და ერთგვარი პოლიტიკურ-სამართლებრივი მოკვლევის საფუძველზე გააჟღერა საკუთარი აზრი ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რასაც ოპოზიცია აყენებდა დღის წესრიგში, იმ წუთშივე დაიწყო სასტიკი ბულინგი მის მიმართ. მოაწყვეს რადიკალიზმის და ანტიევროპულობის ლუსტრირება, რისი მოწმეც გავხდით მთელი საზოგადოება

ის“ ხელისუფლების დროს მოხდა ევროკავშირთან თვისობრივი და ფაქტობრივი დაახლოება, ვგულისხმობ ასოცირების და სავაჭრო ხელშეკრულებების დადებას, ვიზალიბერალიზაციას და კანდიდატის სტატუსის მიღებას. რადგან ეს ვახსენე, მინდა, განვავრცო თემა და განვაცხადო, რომ კანდიდატის სტატუსი უსამართლოდ დაგვიგვიანეს, რადგან უკრაინასა და მოლდოვასთან შედარებით, თვალსაჩინოა ჩვენი ქვეყნის პროგრესი. ამიტომ ვთვლი, რომ აბსოლუტურად დაუმსახურებლად გადავადდა ამ სტატუსის მინიჭება, მაგრამ საბოლოოდ ესეც მივიღეთ. ახლაც ისეთივე საჯილდაო ქვა იქნება მოლაპარაკებების გახსნა, როგორც იყო 2023 წლის დეკემბრამდე... არჩევნებიდან 28 ნოემბრამდე ოპოზიციის მხრიდან იყო პოლიტიკური პროტესტის იმიტაცია. დღეს ეუთო/ოდირის დასკვნით დამტკიცდა, რომ არავითარი გაყალბება არ ყოფილა, მით უმეტეს - 300 ათასი ხმის. ამ დასკვნამ ყველასთვის ცხადი გახადა ჩვენი პარტიის უმწიკვლო რეპუტაცია. ამ პატარა ქვეყანაში ყველა ყველას იცნობს, სამეზობლო, სანათესაო, სამეგობრო, ხალხი ისეა ერთმანეთში გადაჯაჭვული, რომ არ არსებობს, ვინმეს რამე არ წამოსცდეს. აქედან გამომდინარე, წარმოუდგენელია, გააყალბო 300 ათასი ხმა ისე, რომ არავინ გაიგოს, არ დაინახოს. ნონსენსია, დაატრიალო ე.წ. კარუსელები, როცა საქმე გაქვს ხმის დამთვლელ ელექტრონულ ტექნიკასთან.

- ოპოზიცია თვლის, რომ თქვენ მათი ხმების დიდი ნაწილი სწორედ ამ გზებით მიიტაცეთ...

- თუ სათანადო ხმები ვერ მიიღეს, საკუთარ თავს დააბრალონ და არა ჩვენ. კარგად ვხედავდით მე, ზაალ მიქელაძე და გია ჭყონია, როდესაც სოფელ-სოფელ დავდიოდით მოსახლეობასთან წინასაარჩევნო შეხვედრებზე, ოპოზიციური პარტიები იქ ნამყოფიც არ იყვნენ და როგორც შემდეგ გავარკვიეთ, მოგვპარესო. „ქართულმა ოცნებამ“ აწარმოა საკმაოდ ძლიერი წინასაარჩევნო კამპანია, ყველა ვმუშაობდით, დავდიოდით მოსახლეობაში, 24/7-ზე შეხვედრები გვქონდა და ვიკვლევდით მათ საჭიროებებს, ვეცნობოდით პრობლემებს, ხოლო ჩვენი გზავნილები აბსოლუტურად შეესაბამებოდა საქართველოს ირგვლივ შექმნილ ომის დაწყების რეალურ საფრთხეს და ამომრჩევლის დაკვეთებს. დღეს სხვა შეფასების გაკეთებაც არის შესაძლებელი, ალენ ბერსეს ვიზიტის შემდეგ სულ სხვანაირად წარმოჩნდა ყველაფერი. სრული სამი დღე იმყოფებოდა ევროსაბჭოს გენერალური მდივანი საქართველოში. მანამდე მოუთმენლად ელოდა მის ჩამოსვლას ოპოზიცია, თუმცა როგორც კი დაინახეს, რომ ეს ადამიანი მართლა აპირებდა, გაერკვია, სად იყო სიმართლე, მაშინვე გადგნენ გვერდზე. ოპოზიციის ნაწილი თავიდანვე შეგნებულად არ შეხვდა, გამოუცხადა ბოიკოტი ბერსეს, ხოლო როგორც კი გენერალურმა მდივანმა პრესკონფერენცია გამართა და ერთგვარი პოლიტიკურ-სამართლებრივი მოკვლევის საფუძველზე გააჟღერა საკუთარი აზრი ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რასაც ოპოზიცია აყენებდა დღის წესრიგში, იმ წუთშივე დაიწყო სასტიკი ბულინგი მის მიმართ. მოაწყვეს რადიკალიზმის და ანტიევროპულობის ლუსტრირება, რისი მოწმეც გავხდით მთელი საზოგადოება.

- ეუთო/ოდირის მიმართ არ აქვთ პროტესტი, პირიქით, მხარს უჭერენ მის დასკვნას და ითხოვენ ვადამდელ არჩევნებს.

- ეს ჯერ არიან ამ ეტაპზე, რადგან ჩაეჭიდნენ შენიშვნებს და რეკომენდაციებს, რომლებიც ამ დასკვნაშია გაწერილი, მიაჩნიათ, რომ მხოლოდ ეს არის საკმარისი ვადამდელი არჩევნების დასანიშნად. საერთოდ კი, არ არსებობს მსგავსი დასკვნები შენიშვნების (მათ შორის მწვავე) გარეშე. არცერთ ქვეყანაში არ ტარდება უმწიკვლო არჩევნები, ყველგან არის რაღაც ტიპის დარღვევები. ჩვენზე მძიმე შენიშვნები მისცა აშშ-ის არჩევნებს ეუთო/ოდირმა. სხვა ქვეყნებშიც იგივეა. მთავარი ამ დასკვნაში არის ის, იმოქმედებს თუ არა დაშვებული ხარვეზები არჩევნების საბოლოო ბედზე, აქ ეუთო/ოდირმა გადაწყვიტა, რომ არჩევნები ჩატარდა, „ქართული ოცნება“ უმრავლესობით მოვიდა პარლამენტსა და უმაღლეს საბჭოში თავისუფალი არჩევნების გზით, ანუ ლეგიტიმაცია აღიარებულია. ოპოზიციას სხვა გზა არ დარჩენია, ეჭიდება ამ ხარვეზებს, თითქოს ეს შეცვლის ჩატარებული არჩევნების ანატომიას.

- ოპოზიციურად განწყობილი დეპუტატები, რომლებიც ეუთო/ოდირის დასკვნას ელოდნენ, როგორ ფიქრობთ, შემოვლენ საკანონმდებლო ორგანოებში?

- როდესაც ვნახე ზურაბიშვილის ინტერვიუ საზოგადოებრივ მაუწყებელთან, მივხვდი, რომ ეუთო/ოდირის დასკვნა არ დაასხამდა მათ წისქვილზე წყალს, რადგან სალომემ განაცხადა, რომ ამ დასკვნას მათთვის არ ექნებოდა მნიშვნელობა. კარგად იცოდნენ, რომ ეუთო/ოდირი ვერ იტყოდა იმაზე მეტს, ვიდრე რეალურად იყო, ამიტომ ვერ შეძლებდნენ ახალი ცეცხლის დანთებას.

- მაგრამ ახლა ამბობენ, რომ ეუთო/ოდირმა ეს არჩევნები ნეგატიურად შეაფასა...

- სხვა რა დარჩენიათ, პროცესების ფორსირებას ახდენენ, ჩაეჭიდნენ იმ შენიშვნებს და რეკომენდაციებს, რომლებიც, როგორც უკვე აღვნიშნე, სხვა ქვეყნების არჩევნების შემდეგაც დიდი რაოდენობით იწერება. რაც შეეხება საკანონმდებლო ორგანოებში შემოსვლას, ისეთი მოცემულობაა, რომ ვფიქრობ, მოვლენები განვითარდება 2020 წლის ანალოგიურად... თუ უფრო რადიკალური გზა არ აირჩია ოპოზიციამ. „ახლების“ ერთ-ერთი ლიდერის, ნიკა გვარამიას განცხადებაც არის საყურადღებო ამ მხრივ, მან თქვა, რომ ახალი შარლ მიშელი არ იქნება ამ ეტაპზე. აქ უფრო ანტიევროპული განწყობა შეინიშნება, თუ დააკვირდებით.

- არ შემიძლია, არ გკითხოთ, რა დამოკიდებულება გაქვთ საპროტესტო აქციების მონაწილეთა დარბევასთან დაკავშირებით, როგორც ყოფილი ჟურნალისტი, რას ფიქრობთ მედიის წარმომადგენელთა საქმიანობის შეზღუდვების შესახებ?

- ცხადია, ვგმობ ყველანაირ დარბევას. ცალსახაა, რომ ეს არის დანაშაული, ძალადობა. არ უნდა დავუშვათ ჟურნალისტური საქმიანობის შეზღუდვა და ხელის შეშლა. სამწუხაროდ, ასეთი ბევრი ფაქტი დაფიქსირდა, რაზეც გამოძიებაა დაწყებული და საგამოძიებო სამსახურმა და შინაგან საქმეთა სამინისტრომ ყველაფერი უნდა გააკეთონ, რათა დამნაშავეთა იდენტიფიცირება და მათი კანონის სრული დაცვით დასჯა მოხდეს. პირველ რიგში, ეს ჩვენს, „ქართული ოცნების“ ინტერესებში შედის. ხშირად მქონდა ამ თემაზე საუბარიც და ინტერვიუებიც. პარალელებს ავლებდნენ 7 ნოემბერთან. მაშინ აქციის არა დაშლის, არამედ დარბევის შემდეგ პოლიტიკური ელიტა გამოვიდა და მოსახლეობას ხმამაღლა განუცხადა: „სულს ამოგხდით“, ხოლო კობახიძემ - ვგმობთ ძალადობას და ყველაფერს გავაკეთებთ დამნაშავეთა იდენტიფიცირებისა და დასჯისთვისო. ამავდროულად, იცით, რომ წინასაახალწლო პერიოდში დგება პიროტექნიკის არასწორად გამოყენების საფრთხის საკითხი. ნახეთ ნებისმიერი წლის 1-2 იანვრის გადაცემები, ყველგან არის აღნიშნული, რამდენი დაზიანდა სერიოზულად მაშხალების არასწორად გამოყენების გამო. ბევრი დასახიჩრდა, როდესაც ხელში აუფეთქდა პიროტექნიკა. ახლა თავად წარმოიდგინეთ, როდესაც მაშხალას სპეციალურად უმიზნებ ადამიანს და ესვრი, როდესაც მოლოტოვის კოქტეილს მიასხამ და დაწვავ, რაღაზე უნდა ილაპარაკო, ამ კოქტეილებით ფაშისტებს ებრძოდნენ პარტიზანები, ანუ საკმაოდ ძლიერი იარაღია. ნებისმიერი იურისტი იტყვის, რომ პიროტექნიკის სროლა არის სხეულის და ჯანმრთელობის განზრახ დაზიანების მცდელობა. ამას ემატება ქვების სროლა. შესაბამისად, ეს აქციები ვერ ჩაითვლება მშვიდობიანად.

- აქციის მონაწილეები აცხადებდნენ, რომ ისინი ამით თავს იცავდნენ დარბევისგან.

- მოდით, ნუ ავყვებით ინტრიგას, არავინ არავის ეხებოდა ფიზიკურად, სანამ ბენზინს და ნავთს არ მიასხამდნენ და ცეცხლს არ აუკიდებდნენ, შეიძლება ეს სიტყვიერად თქვან, მაგრამ ვერ დაამტკიცებენ, იმიტომ, რომ მსგავსი არაფერი ყოფილა. სამართალდამცველები არ რეაგირებდნენ იმ უწმაწურ სიტყვებზე, რასაც ხმამაღლა უყვიროდნენ აქციის მონაწილეები სწორედ მათი წყობიდან გამოყვანის მიზნით. ყველამ ვიცით, რა გინება და წყევლა-კრულვა ისმოდა აქციებზე... სიმართლე ვთქვათ, ნუ ვიქნებით მიკერძოებულები. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, პირადად მე ყველანაირი ძალადობის წინააღმდეგი ვარ, მაგრამ მიმაჩნია, რომ სერიოზული გამოძიება დაადგენს, ვინ, რატომ, რა მიზნით და რას აკეთებდა... ბევრი აქცია გამოვიარეთ, თუმცა არასოდეს შუშაც კი არ ჩაგვიმტვრევია, არ შეიძლება, რადიკალიზაცია ჩაითვალოს ნორმალური, კანონმორჩილი მოქალაქეების მშვიდობიან საპროტესტო შეკრებად.

- თუკი ოპოზიცია არ შეგვა საკანონმდებლო ორგანოებში, ერთპარტიული პარლამენტი და უმაღლესი საბჭო გვექნება?

- თუ ასეთი რამ მოხდა, ეს იქნება მათივე ამომრჩევლის უპატივცემულობა, რადგან ცალსახაა, რომ ამ ხალხს საკუთარმა ამომრჩეველმა ხმა მისცა საკანონმდებლო და წარმომადგენლობით ორგანოებში მათი ინტერე-

„ვგმობ ყველანაირ დარბევას. ცალსახაა, რომ ეს არის დანაშაული, ძალადობა. არ უნდა დავუშვათ ჟურნალისტური საქმიანობის შეზღუდვა და ხელის შეშლა. სამწუხაროდ, ასეთი ბევრი ფაქტი დაფიქსირდა, რაზეც გამოძიებაა დაწყებული და საგამოძიებო სამსახურმა და შინაგან საქმეთა სამინისტრომ ყველაფერი უნდა გააკეთონ, რათა დამნაშავეთა იდენტიფიცირება და მათი კანონის სრული დაცვით დასჯა მოხდეს

- საახალწლო სურვილები...

- მინდა, ვუსურვო მშვიდობა მთელ მსოფლიოს, ყველა ცხელი წერტილის ჩაქრობა და დამშვიდება... ჩვენს ქვეყანას ვუსურვებ სტაბილურობას, ეკონომიკურ განვითარებას და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. ყველა ქართველის ოცნებაა, დავუყვეთ ზღვის სანაპიროს და შეუფერხებლად ჩავიდეთ ბიჭვინთაში... ბედნიერი ახალი წელი გქონოდეს, საქართველო!

პერსპექტივა, რომელიც საიმედოა...

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

2024 წელი საქართველოსთვის აქტიური პოლიტიკური მოვლენებით იყო გამორჩეული, ქვეყანა საპროტესტო მღელვარებამ მოიცვა და ეს ახლაც გრძელდება. ევროპამ და აშშ-მა ქართველი მაღალჩინოსნებისკენ მიმართეს სანქციები... პოზიცია და ოპოზიცია ვერ თანხმდებიან სხვადასხვა საკითხში, თუნდაც არჩევნებთან დაკავშირებით, ამ მხრივ, საზოგადოებაც პოლარიზებულია, მაგრამ ამის მიუხედავად, ნათლად გამოიკვეთა, რომ საქართველოში საზოგადოება მენტალური ცვლილებების პროცესშია... ოპოზიციის და ხელისუფლების ურთიერთბრალდებები, ხელახალი არჩევნების მოთხოვნა, პრეზიდენტის არჩევა ხმოსნების მიერ, გადაადგილებები ოპოზიციასა და ხელისუფლებაში ქართული პოლიტიკის თანმდევი პროცესებია... დღეს ამ საკითხებზე „სტრატეგია აღმაშენებლის“ აჭარის ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი ***ლუკა ფუტკარაძე*** *გვესაუბრება.*

- თავდაპირველად, საშინაო პოლიტიკაზე გისაუბროთ, 2024 წელი პოლიტიკური თვალსაზრისით როგორია?

- 2024 წელი საქართველოსთვის იყო მეტად რთული და მრავალი უარყოფითი მოვლენით სავსე - მიტაცებული არჩევნები, არალეგიტიმური პრეზიდენტის არჩევა, ევროპის და აშშ-ის სანქციები, ფინანსების შეწყვეტის დაწყება და ბევრი მნიშვნელოვანი პარტნიორის დაკარგა, ანუ ქვეყნის უკუსვლა როგორც საშინაო, ისე საგარეო კუთხით. ეს წელი, ერთგვარად, გარდამტეხი წელია მენტალური თვალსაზრისით, გამოიკვეთა სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესიც, მართალია, ჯერ ჩანასახშია, მაგრამ პერსპექტივაში ეს მოსალოდნელია, რაც ძალზე მნიშვნელოვანი, საიმედო და არსებითია.

- მნიშვნელოვანი თემები ჩამოთვალეთ, ამ მხრივ, რა საკითხი იყო ყველაზე საყურადღებო პოლიტიკური თვალსაზრისით და ამ მიმართებით ხელისუფლების და ოპოზიციის ქმედებებს როგორ შეაფასებდით?

- ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი ევროინტეგრაციაა, პროცესი, რომელიც ხელისუფლების თქმით, 2028 წლამდე შეჩერებულია. ამასთან, მათ შეწყვიტეს ევროპარლამენტარებთან საუბრები, ანუ ისინი კეტავენ საქართველოს კარს ევროპისთვის, მაგრამ ეს ყველაფერი მოპოვებულია ქართული მოსახლეობის მხარდაჭერით და ოპოზიციის ევროპაში ვიზიტების დამსახურებით. ვფიქრობ, უამრავი პოლიტიკური თემიდან საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესი ყველაზე მნიშვნელოვანია.

- ვხედავთ, რომ ოპოზიცია და ხელისუფლება ვერ თანხმდებიან სხვადასხვა საკითხზე, თუნდაც არჩევნების გამო, თქვენი აზრი ამის შესახებ...

- ოპოზიცია ხელისუფლებასთან მხოლოდ თარიღზე შეიძლება შეთანხმდეს, ანუ როდის ჩაინიშნება ახალი არჩევნები. სხვა საკის მოლაპარაკება არ უნდა იყოს განხილული, რადგან ახლა, ყოველდღე აქციებზე მყოფი ადამიანების მოთხოვნა არის ორი რამ: ახალი არჩევნები და დაკავებულების გათავისუფლება.

- მმართველი გუნდი იმასაც აცხადებს, რომ არჩევნები სანიმუშოდ ჩატარდა, თანაც ეუთომ/ოდირმა არჩევნები დადებითად შეაფასა, რას ფიქრობთ?

- მათ მიერ ჩატარებული „სანიმუშო“ არჩევნების მიტაცების უამრავი ვიდეო-აუდიო და დოკუმენტური მტკიცებულება აქვს ოპოზიციას. ამასთან, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ამ არჩევნებს არ აღიარებენ ჩვენი პარტნიორები. რაც შეეხება ეუთო/ოდირის დასკვნას: 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შესახებ ეუთო/ ოდირმა აღნიშნა, რომ მას არ აქვს მანდატი, აღიაროს ან არ აღიაროს არჩევნები. სხვათა შორის, ეს ყველაზე ცუდი ანგარიშია, რაც ოდესმე საქართველოს არჩევნებზე დადებულა.

- ქვეყანაში მიმდინარე საპროტესტო აქციებმა რა ცხადყო?

- ამ აქციებმა დაგვანახა, რომ დიდხანს გაგრძელდება, მანამ, სანამ ახალი არჩევნები არ დაინიშნება და კვლავ არ გაგრძელდება ქვეყნის ევროპისკენ სვლა.

- ექსპერტები აცხადებენ, რომ პროტესტის მიზეზი ხელისუფლების მიერ ევროკავშირთან მოლაპარაკებების შეჩერება გახდა, თუმცა მმართველი პარტია ამბობს, რომ პროცესი რეალურად ევროკავშირმა შეაჩერა...

- ევროკავშირის რიგი ქვეყნებიც არ ცნობენ ამ არჩევნების ლეგიტიმურობას. მათი მხრიდან არ გამოთქმულა მოლაპარაკებების შეჩერების სურვილი, რადგან ევროინტეგრაციის პროცესის დაწყება და ბოლომდე მიყვანა ქართველი ხალხის ნების გამოხატულებაა, ხოლო ხელისუფლებამ ეს პროცესი გააჩერა, პირდაპირ თქვა, რომ მათი კურსია არა ევროპა, არამედ რუსეთის არგაღიზიანება, ასეთი პოლიტიკა აქვთ მათ დღეს.

- არანაკლებ მნიშვნელოვან ფაქტორზე მსურს თქვენი აზრის მოსმენა, ექსპერტები აცხადებენ, რომ ოპოზიციაში გამოკვეთილი ლიდერი არ ჩანს. რამდენად მოსალოდნელია სალომე ზურაბიშვილი ასეთი ლიდერი გახდეს?

- მოცემულ პროცესს, ვფიქრობ, დღეს არ სჭირდება კონკრეტულად ერთი ლიდერი, რადგან საზოგადოებას დღეს სჭირდება გაერთიანება და ითხოვს კიდეც ერთიანი ძალებით ბრძოლას... შესაბამისად, ყველაზე სწორია პრეზიდენტისა და ოპოზიციური სპექტრის გაერთიანება, ქართველ მოსახლეობასთან ერთად ბრძოლა რუსული რეჟიმის წინააღმდეგ.

- როგორც ცნობილია, ხმოსნებმა ახალი პრეზიდენტი აირჩიეს, ოპოზიცია არ აღიარებს ყოველაშილის როგორც პრეზიდენტის ლეგიტიმურობას. რას ფიქრობთ?

- ყოველაშვილის პრეზიდენტობის აღიარება ნიშნავს, აღიარო 2024 წლის არჩევნები, ამ მხრივ, ოპოზიციის პოზიცია არის მტკიცე და შეუცვლელი.

- დასავლეთში ალაპარაკდნენ საქართველოს ხელისუფლების მიმართ სანქციების დაწესებაზე. მაგალითად, ბალტიისპირეთის ქვეყნებმა უკვე დააწესეს სანქციები, რას უნდა ველოდოთ?

- ახლა მოქმედების დროა, ქვეყნის შიგნით მოსახლეობა აჩვენებს ყველას, რომ არ გაჩერდებიან და არ დაიღლებიან რუსული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში, მეორე მხრივ კი დროა, ევროპამ გააააქტიუროს ყველა სახის სანქცია ხელისუფლების წარმომადგენლებისა და მათი ოჯახების მიმართ.

- ახლახან დიდმა ბრიტანეთმა და აშშ-მა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, გიცე-პრემიერ გომელაურს, სხვა მაღალჩინოსნებს სანქციები დაუწესა, ეს რისი მანიშნებელია?

- ახალი სანქციების დაწესება ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ გრძელდება. ეს იმის მიმანიშნებელია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გადაუხვია ქვეყნის დასავლურ კურსს და ამ ყველაფრიდან გამოსავალი ერთია - ახალი არჩევნები.

- სხვათა შორის, ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ აშშ-ის ახალ ადმინისტრაციასთან ურთიერთხელსაყრელ ურთიერთობას დაამყარებენ...

- სანქციებისა და ევროინტეგრაციის შეჩერების შემდეგ, ეს მოსაზრებები მხოლოდ მოსახლეობის დამშვიდებისა და აქციების შეჩერებისკენ მიმართული ფრაზებია, რისი დაჯერებაც წარმოუდგენელია. ამას არც მოსახლეობა დაიჯერებს და არც აშშ, რომლის პოზიცია საკმაოდ მწვავეა ხელისუფლების მიმართ.

- საგარეო საკითხსაც შეგეხოთ, უკრაინაში წყდება თუ არა ევროპის გეოპოლიტიკური სისტემის მდგრადობის საკითხი?

- უკრაინაში ბრძოლა არის დასავლეთსა და რუსეთს შორის, შესაბამისად, აქ წყდება ცივილიზებული სამყაროს ბედი.

- დაბოლოს, რას ელოდებით 2025 წელს საშინაო და საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით?

- საგარეო პოლიტიკის კუთხით ველოდები სანქციების მეტ გააქტიურებას ხელისუფლების წარმომადგენლებისა და მათი ოჯახების მიმართ, ამასთან, მეტ ზეწოლას ევროპის მხრიდან, რაც ქვეყნის შიგნით პროცესს მიიყვანს ახალ არჩევნებამდე.

„მხატვრობა ცარიელი ჩარჩოა თავისუფლების გარეშე“

ამ სლოგანით შეუერთდნენ საქართველოში მიმდინარე საპროტესტო აქციებს ბათუმელი მხატვრები. მხატვარ ნინო გოგოლიშვილის ორგანიზებით, ბათუმში, ევროპის მოედანზე ფერმწერები, გამოყენებითი ხელოვნების წარმომადგენლები შეიკრიბნენ, რათა თავიანთი ხმები კიდევ ერთხელ, ამჯერად, კოლეგებთან ერთად, შეეერთებინათ საერთო მოთხოვნებისთვის - ხელახალი არჩევნები და პოლიტპატიმრების განთავისუფლება.

რა გასაკვირია, რომ მხატვრების საპროტესტო აქცია, მართლაც, გამოირჩეოდა ამ სახის სხვა აქციებისგან შემოქმედებითობით, სანახაობრიობით, რაც აზრობრივად იყო დატვირთული და ამაში ლომის წილი ნინო გოგოლიშვილს მიუძღვის. მან საინტერესო პერფორმანსი მოიფიქრა - ევროპის მოედანზე შეკრების შემდეგ აქციის მონაწილეებმა საკონსტიტუციო სასამართლოს წინ გადაინაცვლეს, სადაც განთავსდა დიდი სარკე, რომელშიც, ნინო გოგოლიშვილის თქმით, ძალოვანებს თავიანთი სახე უნდა დაენახათ. თვალშისაცემი იყო ცარიელი წითელი ჩარჩოები, რომელთა სიმბოლურობაზე თავად ნინო გოგოლიშვილი გვესაუბრება: - ჩვენ, ბათუმელი მხატვრები დღეს ვაპროტესტებთ დღევანდელ პოლიტიკას ქვეყანაში. ჩვენი ამყამინდელი სათქმელის სიმბოლოა წითელი ცარიელი ჩარჩო. ლოზუნგიც შესაბამისი გვაქვს: „მხატვრობა ცარიელი ჩარჩოა თავისუფლების გარეშე“... მხატვრები ახლა არ უნდა დავრჩეთ სახელოსნოში, უნდა გამოვიდეთ და დავდგეთ აქციაზე ქვეყნის სადარაჯოზე, რათა არ დავრჩეთ უსამშობლოდ. მოვუწოდებ სხვა ბათუმელ ხელოვანებს, რომლებიც არ გამოვიდნენ ჩვენთან ერთად ქუჩაში: - თქვენი ხელოვნება დაკარგავს ღირებულებას და ექნება ჩალის ფასი. ჩვენ, ხელოვანები საკუთარი ქვეყნის ელჩები ვართ, ამიტომაც ყოველთვის უნდა ვიყოთ პატრიოტები. ჩვენი მუზა თავისუფლებაა! ჩვენ გვინდა ქართული მუხტით ვქმნიდეთ ჩვენი ნახატების სერიებს! მხატვრის მისიაა, ადამიანებს მისცეს ძალა, სტიმული. არტისტი ყოველთვის უნდა იდგეს სიმართლისა და სიკეთის მხარეს! სხვანაირად მათი ტილოები დეკორაციად გადაიქცევა!

მხატვრების აქცია გამოირჩეოდა სიმშვიდით და კაცთმოყვარეობით - საქართველოს, უკრაინის და ევროკავშირის დროშებთან ერთად აქ ყველა მსურველისთვის ჰქონდათ გამოტანილი ციტრუსოვანი ხილი, ტკბილეული, ცხელი ჩაიც კი. მსურველებს სახის საქართველოს დროშით მოხატვაც შეეძლოთ, რასაც ნინო ხალისით აკეთებდა. გამვლელები სიამოვნებით ჩერდებოდნენ, ისმენდნენ და იზიარებდნენ მათ სათქმელს.

ჩვენც რამდენიმე მონაწილეს ვთხოვეთ, გამოეხატათ თავიანთი აზრი.

მიქაელ მახარაძე: - მხატვარი ვარ, ხელოვნებით ვცხოვრობ. არ არსებობს ხელოვნება, კულტურა თავისუფლების გარეშე და მომავალიც ვერ იარსებებს ამ ყველაფრის გარეშე. მე არ მინდა იმ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც დიქტატურა შეიძლება დამყარდეს, იზღუდება ადამიანის უფლებები, სიტყვის თავისუფლება და ეს რაღაც შიზოიდური და კონსპირაციული თეორიის საშუალებით თითქოს მყარდება და „პრავდება“. ამიტომ აქ ვარ ჩემი პოზიციის დასაფიქსირებლად და მინდა ისეთ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც ადამიანები თავისუფლები იქნებიან. არ შეეზღუდებათ აზრის გამოხატვის უფლება. არ ვიქნები ისეთ ავადმყოფურ-ისტერიულ რეჟიმში, რამდენიმე წელია რომ გვამყოფებენ. ვფიქრობ, რომ დღეს მნიშვნელოვანია, აქ ვიყო.

ზურაბ ქარჩავა: - ჩემი სათქმელი ისაა, რომ სათქმელის უფლება მქონდეს. სამწუხაროდ, ისეთი ტენდენციაა, რომ ამის უფლებას არ გვაძლევენ, ანუ რაც მაწუხებს, იმის თქმა

არ შემიძლია. მაწუხებს, რომ ჩემს მეგობრებს, ნათესავებს, ოჯახის წევრებს და ა. შ. ძალიან ცუდად ეპყრობიან და ძალადობენ მათზე არაფრის გამო. მე მეგონა, რომ გავიარეთ და ისტორიას ჩავბარეთ ოსვენციმის ბანაკები და ასე შემდეგ. ამდენი წელია, ამას ვუყურებთ, პირველად არ ხდება. მე აფხაზეთიდან ვარ და ნანახი მაქვს ეს ყველაფერი. კარგს რომ ვერ ვიტყვი დღევანდელობაზე, მე თვითონ მწყინს. ეს უნდა დასრულდეს. ძალიან გაიყინა ყველაფერი. სამწუხაროა, რომ მათემატიკის პირველი-მეორე კლასის განათლებაც არ ვლინდება ჩვენი ეგრეთ წოდებული მთავრობის წევრებში. დაახლოებით ნახევარი მილიონი ადამიანი გარეთაა და ამაზე ამბობენ რამდენიმე ასეულს, რამდენიმე ათასს. ეს ძალიან სამწუხაროა. თითქოს ბრმები ვიყოთ. „გრელანდიად“ გადაიქცა ეს სიტუაცია და დროა, გავიტანოთ.

ლია მგელაძე: - ყველა სფეროს წარმომადგენლები ემატებიან ამ საყოველთაო საპროტესტო ტალღას და ცდილობენ თქვან, რომ თავისუფლება ყველაზე მნიშვნელოვანია ადამიანისთვის, მათ შორის მხატვრისთვის, რომელიც ვერასოდეს შეძლებს ხატვას თუ არ ექნება თავისუფლება, თუ თავისუფლად ვერ შეძლებს ფიქრს და იმის გადმოცემას, რასაც ფიქრობს. ამიტომ დღეს წყდება საქართველოს მომავლის ბედი, ჩვენ აუცილებლად უნდა ვიყოთ ევროკავშირის წევრი, უნდა ვიყოთ ევროპული ქვეყანა და მე მჯერა, რომ ამას მივაღწევთ ყველა სფეროს წარმომადგენელთა ერთობლივი გაფიცვით.

თემურ თავაძე: - ის, რასაც ესენი ამბობენ, რომ ევროპის კარი დახურულია 2030 წლამდე, ეს არის საშინელება. ჩიხში შეყვანა საქართველოსი, განსაკუთრებით ხელოვანი ადამიანების, მხატვრების, რადგან ევროპული აზროვნება და ევროპული მომავალი აუცილებელია როგორც საქართველოსთვის, ასევე, თითოეული მხატვრისთვის. ხელოვანისთვის, ხელოვანი ხომ თავის შემოქმედებაში ეპოქის სულს აღწერს და ის სული, რომელიც აღწერა კომუნისტურმა ხელოვნებამ, ჩვენ ყველამ ვნახეთ, რომ საშინელი იყო. ეს იყო არა ის ხელოვნება, რომელიც ადამიანის სულს ჰარმონიას ანიჭებდა, არამედ ადამიანის სულს კლავდა. აი, ეს რომ არ განმეორდეს ისევ, ამიტომ ვდგავართ აქ ხელოვანები და ხელოვნების მოყვარული ხალხი, ვაპროტესტებთ იმ გადაწყვეტილებას, რომელიც მიიღო ამ ავბედითმა მთავრობამ, რომ 2028 წლამდე არ აპირებს ევროსაბჭოსთან მოლაპარაკებების გახსნას და 2030 წლამდე არ იქნება გრანტები, რომლებიც გვაცოცხლებდა და გვაცოცხლებს დღესაც, ამის უფლებას არ მივცემთ. ჩვენ ილიას, შოთას ერი ვართ და ჩვენს ნებას გვერდს ვერ აუვლიან.

ჯამბულატ მელაძე: მთავარია, ქვეყანაში მშვიდობა იყოს

2025 წელს აჭარის მთიანეთი მრავალი სიახლით ხვდება. გამონაკლისი არც ხულოს მუნიციპალიტეტია. აქ მცხოვრებლები მდიდარ ისტორიულ წარსულს უფრთხილდებიან, სიახლეებით ამდიდრებენ. ხულოს მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი ჯამბულატ მელაძე სწორედ ამ სიახლეებზე საუბრობს

- საუბრის დასაწყისშივე ჟურნალისტებს, თქვენი გაზეთის მკითხველებს, ჩემთვის სათაყვანებელ ხულოსა და სრულიად საქართველოს დამდეგ ახალ წელს ვულოცავ. მშვიდობას, კეთილდღეობას, ერისა და ქვეყნის სამსახურში ყოფნას ვუსურვებ.

- ახლა მთელი ხულო თოვლის საბურველშია გახვეული. მთას თოვლი არ აკლია, მაგრამ წლევანდელი შემოდგომა და ზამთრის დასაწყისი გამორჩეულად უხვნალექიანი დარჩა. როგორ უმკლავდებით სტიქიის შემოტევას?

- ნოემბრის მეორე ნახევარსა და დეკემბერში მოსულმა ნალექმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მადლობა უფალს, რომ გახშირებული მეწყრული პროცესებისა და ზვავების ფონზე ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა, თუმცა ზარალი საკმაოა. ყველაზე მეტად ფერმერები დაზარალდნენ. საქმემ და საზრუნავმა იმატა ენერგოსისტემაში, საგზაო და კომუნალურ სამსახურებში. ტრანსპორტის გადაადგილება დიდი დროით არ შეზღუდულა ისეთ შორეულ სოფლებში, როგორებიცაა: თხილვანა, ბაკო, კალოთა, აგარა, სკვანა, მეკეიძეები, ტუნაძეები. თოვლისგან ინტენსიურად იწმინდებოდა ხულო-ზანკეები-გოდერძის უღელტეხილის მონაკვეთი. მეტი დატვირთვა შეიძინა სამთო-სათხილამურო კურორტმა გოდერძიმ. დიდთოვლობის მიუხედავად, წინასაახალწლოდ, ადგილზე და სოფელ დანისპარაულში არსებულ სასტუმრო კომპლექსებსა და საოჯახო სასტუმროებში ყველა ნომერი დაჯავშნილია. უცხოელი თუ ადგილობრივი ვიზიტიორები 10-15 დღით დარჩენას, თოვლიან ტრასებზე სრიალს აპირებენ. აღსანიშნავია, რომ ხულო-ზანკეების საავტომობილო მონაკვეთზე, წინა წლებისგან განსხვავებით, ტრანსპორტით მიმოსვლა გაიოლდა: აღსანიშნავია, რომ საფრისწყლის მიმდებარე ტერიტორიასა და სხვაგან საყრდენი კედლები გაკეთდა, თუმცა სიფრთხილე მაინც გვმართებს. ბუნებაზე ბევრია დამოკიდებული, თუ სიმშვიდე იქნება, ბევრ საინტერესო ღონისძიებას მოვაწყობთ. აქ მცხოვრებ ადამიანებს კარგად ვიცნობ. მათ კარგად იციან, როდის, რა და როგორ გააკეთონ. ზამთრის შემოტევას ოჯახების უმრავლესობა მომზადებული შეხვდა. თუ რომელიმე ოჯახი ან პიროვნება დახმარებას საჭიროებდა ან საჭიროებს, ჩვენ მზად ვართ დასახმარებლად. მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის ჯანმრთელობის სისტემასა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებულთა მისამართით. სტიქიის შემოტევის კრიტიკულ დღეებში ისინი მინდობილ საქმეს არ ღალატობდნენ.

- როგორი მემკვიდრეობა გერგოთ?

- მე იმ გუნდის წევრი ვარ, რომელიც ქვეყანას, რაიონს 2012 წლიდან მართავს. გაისადაც რომ გაზრდილი ბიუჯეტი გვექნება, მუნიციპალიტეტში განხორციელდება ქვეყნის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების დარგობრივი და ადგილობრივი პროგრამები, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“, თანადაფინანსების პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, ეს კარგი მემკვიდრეობის წყალობითაა. ხულოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების ხელმძღვანელობის, საკრებულოში არჩეული ჩვენი მხარდამჭერი დეპუტატების და, რაც მთავარია, საქმისა და ქვეყნის მოყვარე ხულოელების ვალია, დაწყებული საშვილიშვილო საქმეები გავაგრძელოთ, სიახლეების დანერგვაზე ვიზრუნოთ. გაგრძელდება ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები, როგორებიცაა ღორჯომი-ზოტიყელი-ბახმაროს, ზამლეთი-ხიხაძირის გზების რეკონსტრუქცია. სოფელ ვაშლოვანში დასრულდება სკოლის მშენებლობა და მალე ზარიც დაირეკება. ქვეყნის, აჭარის სამინისტროების ხელმძღვანელობასთან ერთად, ვიზრუნებთ სკოლების, სკოლამდელი დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზების გაუმჯობესებასა და ინვენტარით მომარაგებაზე. ხულოს ბუნებრივ-კლიმატური პირობები იძლევა იმას შესაძლებლობას, რომ მეტად განვითარდეს სპორტის ზამთრის სახეობები. ისიც უნდა ითქვას, რომ მსოფლიო სარბიელზე უკვე სერიოზულ მეტოქეობას უწევენ მოჭიდავეებს ხულოში დაფრთიანებული ჭაბუკები. ვპირდებით მათ, რომ მალე, ხულოს ცენტრში, თანამედროვე მოთხოვნების სპორტული დარბაზი ექნებათ. სპორტული კომპლექსი გაკეთდა ღორჯომის ცენტრში, რაც საშუალებას მოგვცემს ხულომაც უმასპინძლოს მნიშვნელოვან საერთაშორისო ტურნირებსა და ჩემპიონატებს.

- რამდენიმე წინადადებით საახალწლო ღონისძიებებზეც გვითხარით.

- ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობა ახალ წელს ორჯერ აღნიშნავს - ახალი და ძველი სტილით. ამიტომ კულტურის ცენტრის, მერიის შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელებთან ჯუმბერ აბაშიძესა და ბადრი მელაძესთან, მერის მოადგილესთან ერთად, მივიღეთ გადაწყვეტილება, ღონისძიებები 19 იანვრამდე გავაგრძელოთ. დაბის ცენტრში, ახალი წლის შემობრძანებამდე რამდენიმე დღით ადრე, მთავარ საახალწლო ნაძვის ხეს ავანთებთ, გაიმართება გასართობი და თეატრალური ღონისძიებები. ყველაზე მეტად ბავშვებზე ვიზრუნეთ. ნაძვის ხეები დაიდგმება ადმინისტრაციულ ცენტრებსა და სკოლებში. უხუცესთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბერმუხა“, ქორეოგრაფიული ანსამბლები „ხიხანი“, „ღორჯომი“, „საციხური“, ფოლკლორული ანსამბლები „ხულო“, „სხალთა“, „ვერნები“, ინდივიდუალური შემსრულებლები საახალწლო ღონისძიებებში ჩაერთვებიან. 14 იანვარი ქართული თეატრის დღეა. ხულოს სახელმწიფო პროფესიული თეატრის დასი თამაზ ბოლქვაძის ხელმძღვანელობით, ამ დღეს სიურპრიზს შემოგვთავაზებს. მთავარია, ქვეყანაში მშვიდობა იყოს, რაც შესაძლებლობას მოგვცემს, ყველა ჩანაფიქრი განვახორციელოთ.

ხელოვანების ოჯახში გაზრდილი – ხელოვანი

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდი დარბაზი მაყურებელს ვერ იტევდა. იმ საღამოს სცენა შუახევის რაიონის მარეთის ხეობის ფოლკლორს ეთმობოდა. ორგანიზატორი ნინო რაზმაძე და ხეობის ფოლკლორის ამაგდარი, კონცერტის დამდგმელი, შუახევის კულტურის ცენტრთან არსებული უხუცესთა ფოლკლორულ ანსამბლ „ფესვების“ მთავარი ქორეოგრაფი ბადრი დარჩიძე ღელავდნენ. ბევრი მარეთელი ხელოვანი პირველად უნდა დამდგარიყო მომთხოვნი თბილისელი მაყურებლის წინაშე. ბადრიმ დიდი ოსტატობით შეასრულა „განდაგანა“



საღამომ სრული ანშლაგით ჩაიარა. ყველა და მათ შორის ბადრიც, დედაქალაქს კმაყოფილი ტოვებდნენ. 2024 წელს მოპოვებული ეს აღიარება პირველი არ იყო ბადრი დარჩიძისთვის. 65 წელს გადაცილებული ხელოვანი 45 წელზე მეტია, სცენაზე დგას, თავის ხელოვნებას თაობებს უზიარებს, ახალ-ახალი შენაძენებით ამდიდრებს. კონსერვატორიის სცენაზეც აჭარელ ქალთა ცეკვის ახალი ნიმუშები წარმოადგინა.

ბადრი დარჩიძის გზა ხელოვნებაში ოჯახიდან დაიწყო. მახალაკიძეებელმა ფატი თაფლაძემ და ლევან დარჩიძემ აზიარეს შვილები ხელოვნებას. წინა საუკუნის მეორე ნახევარში შუახევის რაიონში მომუშავე სახელოვან ხელოვანებს ალიოსმან დავითაძეს, მამია ჭაღალიძეს, მუხამედ ართმელაძეს, ოთარ გოგიტიძეს, ტარიელ მაკარაძეს, ნოდარ ფევაძეს გვერდს უმშვენებდა ოლადაურის სასოფლო კულტურის სახლის დირექტორი ლევან დარჩიძე. ისინი ერთად გამოდიოდნენ რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო ფესტივალებზე და ჯილდოებსაც იმსახურებდნენ.

ლევანი სიცოცხლეშივე მოესწრო შვილების წარმატებას. თავისი სიტყვა თქვეს ხელოვნებაში ანსამბლ „მარეთის“ ლოტბარმა ავთანდილმა და ბათუმის ხალხური ხელოვნების სკოლის ანსამბლ „ჰანგების“ სამხატვრო ხელმძღვანელმა ეთერ დარჩიძემ... ამჯერად, ყურადღებას უხუცესთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ფესვების“ მთავარ ქორეოგრაფ ბადრი დარჩიძეზე შევაჩერებთ ყურადღებას.

ლევან დარჩიძეს თბილისში მრავალი მეგობარი ჰყავდა. მისი ოჯახის სტუმრები იყვნენ სვანეთში, კახეთში, რაჭასა და თბილისში მომუშავე ხელოვანები. სწორედ, რაჭველმა სხირტლაძეებმა ურჩიეს მათ, ახლობელ ჭაბუკ დათუნიკა სხირტლაძესთან ერთად, ბადრი თბილისის სერგო ზაქარიაძის სახელობის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელში შეეყვანა. დიდი კონკურსი ბადრიმ წარმატებით გაიარა და სტუდენტი გახდა. აქვე მოვლენებს გავუსწრებთ და ვიტყვით, რომ ბადრი და დათუნიკა, ამ უკანასკნელის გარდაცვალებამდე, განუყრელი მეგობრები იყვნენ. ბადრი და მისი შვილები სხირტლაძეებთან ურთიერთობას დღემდე აგრძელებენ.

საქართველოსთვის ძნელბედობის წლებში, ბადრი ოლადაურის სასოფლო კულტურის სახლის დირექტორი იყო. მან და ოლადაურის თემის მაშინდელმა ხელმძღვანელმა ტარიელ მაკარაძემ სიმღერისა და ცეკვის მოყვარულები შემოიკრიბეს და კარგი ანსამბლი ჩამოაყალიბეს, რომელიც 1993 წელს გალათასარაის საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი გახდა.

განათლების სისტემასა და კულტურის სფეროში მიმდინარე რეფორმებს შუახევში ჯერ სასოფლო კულტურის სახლები, შემდეგ კლუბები და ბიბლიოთეკები შეეწირა. ბადრი ზოგიერთივით სხვების შემყურე არ დარჩა. 2007 წელს შუახევის სოფლებში გაბნეულ თვითნასწავლ მოცეკვავეებს თავი მოუყარა და უხუცესთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „ფესვები“ ჩამოაყალიბა. ის რომ არა, ალბათ, დავიწყებას მიეცემოდა „განდაგანის“, „ხორუმის“ ის ილეთები, ცხემლისელი დავით მჟავანაძე, მაწყვალთელი დავით მაკარაძე, წყაროთელი რეზო მჟავანაძე, ტარიელ მაკარაძე, ფურტიოელი მიხეილ მელიქიშვილი, ნაღვარეველი ხასან ხილაძე, ოლადაურელი ლევან ფუტკარაძე, აწ გარდაცვლილი სახელოვანი მოცეკვავეები მუხამედ ართმელაძე, ხასან შარაშიძე, მამია, ოთარ ჭაღალიძეები, ალიოსმან დავითაძე, ტარიელ კაკალაძე, იოსებ დიასამიძე რომ ასრულებდნენ.

„ფესვებმა“ მალე ქვეყნის ქორეოგრაფიულ სარბიელზე წარმატებული ანსამბლის სახელი დაიმკვიდრა. ამის დასტურად ფოლკლორის ეროვნული ცენტრის პრემიაც საკმარისია. გარდა ამისა, ანსამბლი 15-ჯერ იყო გასტროლებზე უცხოეთის ქვეყნებში. ბადრისა და „ფესვების“ სხვა წევრებს ხელოვნებას უქებენ თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ინეგოლში მცხოვრები ქართველები მენან ფორთოქალი (ფუტკარაძე) და ომერ დემირ თაში (მიქელაძე).

- ისე არ მინდა სცენიდან წავიდე, რომ ფერეიდნელ ქართველებსაც ჩვენი ხელოვნება არ ვაჩვენო. აწ გარდაცვლილი პროფესორის და ქართველოლოგის, მარეთის ხეობელი ტარიელ ფუტკარაძის სურვილიც იყო, რომ ირანის ისლამურ რესპუბლიკაში გასტროლი მოგვეწყო, მაგრამ ბატონ ტარიელს აღარ დასცალდა. მან რამდენიმე ფერეიდნელი გამაცნო. იმედია, ქვეყნის კულტურისა და ხელოვნების მესვეურთა თანადგომით, ნანატრი გზა გაგვეხსნება, - ამბობს ბადრი.

ბადრის სხვა სურვილებიც აქვს. მისი მიზანია, გაზარდოს ანსამბლის წევრთა რაოდენობა. განსაკუთრებით იმ ადამიანების მოწვევა სურს, რომლებიც ცეკვის ინდივიდუალურ ილეთებს ფლობენ.

„ფესვების“ წევრები ხშირად სტუმრობდნენ ნინოწმინდას, იქ არსებული სკოლა-პანსიონის აღსაზრდელებს, ნინოწმინდის სოფლებს და აჭარიდან გადასულებისთვის კონცერტებს მართავდნენ.

- ძირძველ მიწაზე ქართული სულის გამოცოცხლებას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. ნინოწმინდაში ჩასვლას დიდი დრო არ უნდა და არც დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. არ მავიწყდება იქაური ალექსანდრე მიქელაძისა და სხვების დანაბარები, წელიწადში ერთხელ მაინც დაგვატკბეთ თქვენი ცეკვებითო. ჩვენთვისაც დიდი პატივია წამოწყება, რომელსაც სათავე შუახევის რაიონის ყოფილმა მერმა ფრიდონ ფუტკარაძემ დაუდო - ქვემო ქართლისა და კახეთის იმ სოფლებში კონცერტების გამართვა, სადაც აჭარიდან გადასულები სახლობენ. მომავალ წელს, იმედია, ეს ტრადიცია გაგრძელდება, - გვითხრა ბადრიმ.

არა მარტო აჭარაში, არამედ საქართველოში, „ფესვები“ პირველი ანსამბლია, რომლის წევრებმაც სცენაზე დადგეს ცეკვა „ლაზარობა“. ეს ცეკვა პირველად საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის სასწავლო უნივერსიტეტში გამართულ შეკრებაზე, ვაზის ჯვრით ხელში, შესრულდა და ღვთისმსახურებთან ერთად, მთელი დარბაზი ფეხზე წამომდგარი უკრავდა ტაშს. სხალთის ეპარქიის მღვდელმსახურმა დეკანოზმა გიორგიმ (ფუტკარაძე) „ლაზარობას“ მდიდარი წარსულის ცეკვაში გაცოცხლება უწოდა.

თვითნასწავლი რეჟისორი ვახტანგ გოგრაჭაძე აჭარის მთიანეთში 1929 წლის აჯანყებაზე ფილმს იღებს, რომელშიც „ფესვების“ წევრებიც მონაწილეობენ.

ბადრი დარჩიძეს შემოქმედებაში სტიმულს მატებენ 2 ქალიშვილი და ვაჟები - მუხრანი და რუსლანი. მახალაკიძეებელ დარჩიძეებზე ითქმის, რომ წინაპრების გზას ხელოვნებაში ღირსეულად აგრძელებენ. მუხრანი ბათუმის მე-15 სკოლასთან არსებულ ანსამბლ „თოლიას“ სამხატვრო ხელმძღვანელია. მისი ხელდასმით დაფრთიანებული გოგო-ბიჭები წარმატებით გამოდიან ოლიმპიადებსა და სხვა კულტურულ ღონისძიებებზე. უფროსი ქალიშვილი რუსუდანი ოლადაურის საჯარო სკოლის პედაგოგია და ხშირად გამოდის სცენაზე. ჭიბონი უცხო არაა ბელელაშვილებელი დიასამიძეების რძალ ქეთინოსთვის. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ბადრის უფროსი შვილის - რუსლანის არჩევანი. იგი ქართული ჯარის მაღალჩინოსანი ოფიცერია.

- წლებს თავის გააქვს, - გვითხრა ბადრიმ, - მეუღლესა და მეც, ცოტა არ იყოს, ასაკი თავს გვახსენებს, მაგრამ ფარ-ხმალს არ ვყრით. ყოველ ორშაბათს მოუთმენლად ველოდები, რომ რეპეტიციაზე წავიდე, ანსამბლის წევრებს შევხვდე, იმ ურთიერთობითა და ერთსულოვნებით დავტკბე, რაც თითოეულ მათგანთან მრავალწლიანი მუშაობით ჩამომიყალიბდა. განსაკუთრებულად გვახარებს ახალი წლის მოსვლა. უკვე ტრადიციად დამკვიდრდა, დამდეგი ახალი წელი შუახეველებს სცენიდან რეპერტუარში შეტანილი სიახლეებით მივულოცოთ. იმედია, წელსაც ასე იქნება. რომ არა ჩემი დიდი ოჯახის თანადგომა, ხელოვნებასთან ჭიდილს ვერ შევძლებდი. შრომაც მიფასდება - მონიჭებული მაქვს „საპატიო შუახეველის“ წოდება. ვსარგებლობ შემთხვევით და თქვენი გაზეთით პლანეტის მცხოვრებთ, ყველა ქართველს, ხელოვანებსა და ხელოვნების გულშემატკივრებს ვულოცავ დამდეგ ახალ წელს. გვიყვარდეს ერთმანეთი.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

ნათელი სარკმელი – ამ სამყაროში

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

თუ ბავშვებისთვის წერ ლექსებსა და ზღაპრებს და ისინიც სიყვარულით ეცნობიან, შეიძლება თავისუფლად ითქვას, რომ უზენაესის მადლით ხარ მოსილი. პატარების გულის მოგება იოლი როდია, ისინი ხომ ინტუიციურად გრძნობენ ყველაფერს, კარგსაც და ცუდსაც და შეუმცდარი შემფასებლები არიან. ამდენად, საბავშვო პოეტად სახელდება შემოქმედისაგან, ნიჭთან ერთად, დიდ სულიერ სიფაქიზესა და სიყვარულს მოითხოვს

სწორედ ამ თვისებით წარმოჩნდა და ამიტომაც შეიყვარა მკითხველმა ***ფიქრია ჩხიტუნიძე****, რომლის შემოქმედებასაც ინტერესით ეცნობიან როგორც პატარა, ისე უფროსი ასაკის მკითხველები. მათ საახალწლოდ ქალბატონმა ფიქრიამ მშვენიერი ნობათი მოუმზადა - ლექსების წიგნი „ვინ დაუქსოვს ჩიტებს წინდებს“. მაღალპოლიგრაფიულ დონეზე, შესანიშნავად ილუსტრირებული წიგნი ნამდვილად ნათელი სარკმელია ამ სამყაროში, რომლის გაღების შემდეგ, ირწმუნებ, სასწაული ნამდვილად არსებობს. მთავარია, შეძლო ბავშვის თვალით შეხედო სამყაროს, შეიყვარო ყველა და ყველაფერი, ნდობა და პატიება ისწავლო. ამ სულისკვეთებითაა ნასაზრდოები მთელი მისი შემოქმედება და თვით ეს ინტერვიუც. ფიქრია ჩხიტუნიძე ჩვენი გაზეთის სტუმარია.*

- ქალბატონო ფიქრია, ბავშვებს თქვენი ლექსებით ეფერებით. რომელი ლექსები მიიღეს სიყვარულით?

- ნება მომეცით, მადლიერებით დავიწყო. უღრმესი მადლობა თქვენს გაზეთს ყურადღებისათვის. წარმატებებსა და ბევრ მკითხველს გისურვებთ. ბავშვებს განსაკუთრებით მოსწონთ შობა-ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებული ლექსები, ასევე, ლექსები ცხოველთა და ფრინველთა სამყაროზე. ჩემთვის განსაკუთრებულად სასიამოვნოა პატარა მკითხველების უკუკავშირი, მათი მადლიერებით სავსე ბარათები. ასეთ დროს ვფიქრობ, რომ მართლაც მნიშვნელოვან საქმეს ვაკეთებ და ვბედნიერდები. გამოვარჩევდი ლექსებს - „შობის ვარსკვლავი“, „ყურცქვიტების ნანა“, „ბუების ბებია“, „დათვმა დუდუმ დაიბარა“... მათ განსაკუთრებული სიყვარული და მოწონება დაიმსახურეს პატარა მკითხველისგან.

- ამ ცოტა ხნის წინათ შესანიშნავად ილუსტრირებული ლექსების კრებულიც გამოეცით...

- კარგა ხანია, ჩემი მკითხველი ლექსების კრებულს მთხოვს. სამწუხაროდ, ჩვენს რეალობაში ეს არცთუ მცირე თანხებთანაა დაკავშირებული. ჩემი უნივერსიტეტელი მეგობრები მაგულიანებდნენ, ერთმა შესაბამის ინსტანციაშიც მიშუამდგომლა, რომ კრებული უფასოდ დაბეჭდილიყო, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ბოლოს გადავწყვიტეთ, შემოქმედი ადამიანები ერთმანეთს დავხმარებოდით წიგნის გამოცემაში. ასე დაიბადა ჩემი პირველი საავტორო კრებული. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო უნიჭიერესი ილუსტრატორის - ზაქრო გოგატიშვილის წვლილი ჩემი კრებულის აგრერიგად გალამაზებაში. დავსძენ, რომ წიგნში ჩემი ლექსების მეათედიც კი არაა შესული. ტირაჟიც მცირეა - 100 ცალი, მაგრამ დასაწყისისთვის მაინც კმაყოფილი ვარ და იმედს ვიტოვებ, რომ სხვა კრებულების გამოცემასაც შევძლებ.

- რატომ ურჩევთ პატარებს მის წაკითხვას? დიდებს რას ეტყოდით, რას შეახსენებდით და ურჩევდით?

- კრებულის მთელი კონცეფცია სათაურშია - „ვინ დაუქსოვს ჩიტებს წინდებს?“. რა თქმა უნდა, ის, ვინც სიყვარულითა და სიკეთით სავსეა, ვინც იცის თანადგომისა და თანაგრძნობის ფასი, ის, ვისაც სიბრალული შეუძლია. აი, ამაზე გვესაუბრება ჩემი კრებული, ცდილობს, გაუღვივოს ემპათიის გრძნობა პატარებს, რადგან სწორედ მათ უნდა აშენონ სამყაროს ხვალინდელი დღე. დიდებს კი შევახსენებდი, რომ სულის კუნჭულში მუდამ შემოინახონ ბავშვობა, როგორც მარადიული ბედნიერებისა და სილაღის უშრეტი წყარო, როგორც ადგილი, სადაც, ყოფითი პრობლემებისგან თავის გარიდებას შეძლებენ, სულს მოითქვამენ.

- საახალწლოდ როგორ შეეხმიანებით ბავშვებს?

- მიკვირს იმ მშობლების, დიდმნიშვნელოვნად რომ აცხადებენ, ბავშვებს ტყუილში ვერ ვაცხოვრებთ, თითქოს თოვლის ბაბუა არსებობსო... ამას ტყუილს ვერ დავარქმევდი. თოვლის ბაბუა ხომ სხვა არაფერია, თუ არა რწმენა უანგარო სიკეთისა. ეს არის ერთი ნათელი სარკმელი ამ სამყაროში. ნუ დაუხშობთ ამ სარკმელს ბავშვებს. შემთხვევითი არ მგონია, რომ სწორედ ახალი წლის ღამეს დავიბადე. დღესაც პატარა ბავშვივით მიყვარს და მიხარია ახალი წელი. შესაძლებლობა რომ მქონდეს, თავად ვიქნებოდი თოვლის ბებო, ყველა ბავშვს გავახარებდი და გავბედნიერებდი. რას ვეტყოდი ბავშვებს? როცა მუდმივად კარგის მოლოდინში ხარ, სამყაროს სხვა გზას არ უტოვებ. სასწაული ნამდვილად არსებობს, ოღონდ მხოლოდ მათთვის, ვისაც მისი დაჯერება შეუძლია.

- როცა განვლილ გზას გასცქერით, რას იგონებთ სიხარულით, ტკივილით?

- ბუნებით ოპტიმისტი ვარ და ვცდილობ, ცუდზე არასოდეს ვიფიქრო. რასაკვირველია, ჩემს ცხოვრებაშიც იყო იმედგაცრუებები, მაგრამ რაღაცნაირად ვახერხებ, ყოველდღიურ საზრუნავ-საწუხარზე ავმაღლდე, ჩემი გონება მხოლოდ პოზიტიური ფიქრით იყოს მოცული, მაგრამ ტკივილს ვერსად დაემალები.

იხ. მე-9 გვ.

ბათუმელი ჩემპიონი, რომელიც მომავალ ჩემპიონებს ზრდის

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

შეიძლება ითქვას, რომ აჭარაში ჩემპიონები იზრდებიან. თითქმის ყველა ტურნირიდან ჩვენი რეგიონის ბიჭები თუ გოგონები გამარჯვებულები ბრუნდებიან და ეს მთელი ქვეყნის უდიდესი წარმატებაა. დღეს მორიგი ჩემპიონი ***დავით ვერძაძე*** *მინდა გაგაცნოთ, რომელმაც წელს ბულგარეთში გამართულ პირველობაზე შოტოკან კარატეში ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. მან 21 წლამდე ასაკის 68 კილოგრამ წონით კატეგორიაში ფინალურ შეხვედრაში ბულგარელი მეტოქე დაამარცხა. დავით ვერძაძე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია და, ამავდროულად, მომავალ თაობას კარატეში წვრთნის.*

- როდის და რატომ დაინტერესდით კარატეთი?

- ხუთი წლის ვიყავი, როცა სპორტის მიმართ ინტერესი გამიჩნდა. მამამ კარატე შემომთავაზა და მეც დავთანხმდი. მას შემდეგ კარატე ჩემი ცხოვრების ნაწილად იქცა.

- რა იყო ყველაზე დიდი გამოწვევა და სირთულე მისი შესწავლისას?

- მანამდე ჩაკეტილი ბავშვი ვიყავი, არ მიყვარდა არავისთან ურთიერთობა, მათ შორის, არც თანატოლებთან. კარატეზე სიარული რომ დავიწყე, რა თქმა უნდა, ბავშვებთან ერთად ვვარჯიშობდი, ამან კომპლექსები დამაძლევინა და კომუნიკაბელური გამხადა. რაც შეეხება სირთულეს, მაშინ არ გვქონდა კარატეში ვარჯიშისთვის სათანადო პირობები, რასაც ხელი უნდა შეეწყო ჩვენი განვითარებისთვის, რთულ პირობებში გვიწევდა ვარჯიში.

- თქვენი ყოველდღიური რეჟიმი...

- კარატე ყოველდღიურად ვითარდება, ამიტომ ვცდილობ, ხშირად ვადევნო თვალი ინტერნეტსივრცეს, რომ არაფერი გამომრჩეს. ერთი დღეც რომ არ მივაქციო ყურადღება სპორტის ამ სახეობაში სიახლეებს, ეს ნიშნავს, რომ უკვე ერთი ნაბიჯით უკან დავიხიე. ამიტომ მაქსიმალურად ვცდილობ, არ ჩამოვრჩე.

- როცა ევროპის ჩემპიონი გახდით, რა ემოციები დაგეუფლათ?

- რაც იმ მომენტში განვიცადე, სათქმელად ძალიან რთულია. საკმაოდ დაძაბული ფინალი მქონდა, 2:0-ს ვაგებდი და ბოლო 6 წამში 3-ქულიანი დარტყმით მოვიგე შეჯიბრი. ამას დაემატა გამარჯვების შეგრძნება და ქართული დროშის აფრიალება. მინდა, ასეთი სიხარული ბევრჯერ განვიცადო და სპორტულ სარბიელზე საქართველოს დროშა კვლავ ავაფრიალო.

- თქვენი ოჯახის ემოციები...

- ოჯახის წევრები აქტიურად მგულშემატკივრობდნენ. დღეში რამდენჯერმე მირეკავდნენ და არა მარტო მე, არამედ მთელ გუნდს გვამხნევებდნენ. ჩემი გამარჯვების შემდეგ სიხარულის ცრემლებს ვერ იკავებდნენ. ბედნიერი ვარ, რომ ისინი გავახარე და ჩემით ამაყობენ.

- ვის მიუძღვის წვლილი თქვენს წარმატებაში?

- ძალიან დიდი წვლილი გოჩა სურმანიძეს - აჭარის კარატეს ფედერაციის პრეზიდენტს მიუძღვის. მან ყველაფერი გააკეთა, ეს შედეგი რომ დამდგარიყო. ბატონი გოჩა მთელ გუნდს დამატებით ვარჯიშებს გვიტარებდა და მოტივაციას გვაძლევდა. ის თავდაუზოგავად შრომობს და ყველაფერს აკეთებს, ქვეყანას წარმატებული კარატისტები რომ ჰყავდეს.

- თქვენ პატარა ასაკში გახდით მწვრთნელი და მომავალ ჩემპიონებს ზრდით. რა პასუხისმგებლობას გრძნობთ?

- 16 წლის ვიყავი, როცა კარატეში შავი ქამარი ავიღე და, ნაწილობრივ, უკვე მიწევდა ბავშვებთან ვარჯიშების ჩატარება, 17 წლისამ კი მწვრთნელის ლიცენზია ავიღე და აქტიურად შევუდექი მოღვაწეობას - ჩემი ჯგუფი გავხსენი და ბავშვებს ვავარჯიშებდი. პასუხისმგებლობა ძალიან დიდი იყო, ახლა - მით უმეტეს. ბავშვის აღზრდა ძალიან რთულია, განსაკუთრებით, თუ სპორტული ცხოვრება არ აინტერესებს. მწვრთნელი უნდა დაეხმაროს მას, რომ ინტერესი გაუღვივოს. ჩემი მიზანი ყოველთვის ეს იყო და ასე იქნება მომავალშიც.

- რა ასაკიდან შეიძლება კარატის შესწავლა?

- მოსწავლეების მიღება ჩემთან 5 წლიდან იწყება. მყოლია და ახლაც მყავს ჩემზე ბევრად უფროსი მოსწავლეებიც, რადგან ასაკობრივი შეზღუდვა არ მაქვს. მთავარია, მოსწავლეს როგორ მიუდგები. ბავშვის აღზრდა და ვარჯიში ერთმანეთს უნდა ერწყმოდეს, შედეგი რომ დავინახოთ.

- რამდენადაა ბავშვებში სპორტის ამ სახეობაზე მოთხოვნა?

- მოთხოვნა ძალიან დიდია. როდესაც პირველად კარატეს ჯგუფი გავხსენი, სკოლებში მივედი ბავშვებისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად. სიტყვა „კარატეს“ ხსენებაზე ყველა კლასში ბავშვები ხელს სწევდნენ და მისი შესწავლის სურვილს გამოთქვამდნენ. სამწუხაროდ, დიდი მოთხოვნის მიუხედავად, ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე, არ გვაქვს ყველა მსურველის მიღების შესაძლებლობა.

- და რა გჭირდებათ საამისოდ?

- რა თქმა უნდა, დარბაზი, ცალ-ცალკე რომ ვავარჯიშო დამწყები და გამოცდილი სპორტსმენები. ამასთან, მჭირდება პირობები, სადაც შევძლებ სპორტსმენების შესაბამის მომზადებას - დაბალი წონის ჰანტელები, შესაბამისი ტატამი, სავარჯიშო ტომრები, ლახტი და სხვა მრავალი.

- რა ხერხებს იყენებთ მოსწავლეების მოტივაციის ასამაღლებლად?

- პირველ რიგში, ვსაუბრობთ იმაზე, თუ რა პრობლემა აქვთ ტატამზე ბრძოლის დროს, შემდეგ ერთად ვფიქრობთ მისი მოგვარების გზებზე. ყველა მოსწავლეს ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება, ამიტომ ვცდილობ ყოველი მათგანის მინუსებისა და პლუსების გათვალისწინებას. ტატამზე გასვლის წინ ვეუბნები, რომ უნდა გაიღონ ყველაფერი არა ჩემთვის, არამედ გუნდისთვის და ეს უფრო დიდ მოტივაციას აძლევთ.

- თქვენს მოსწავლეებს ამ ეტაპზე რა მიღწევები აქვთ?

- ორი წლის განმავლობაში შევძელით ის, რომ გუნდს ჰყავს მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონატის ორი პრიზიორი და ევროპის თასის გამარჯვებული, ასევე, არაერთი საერთაშორისო და ადგილობრივი ტურნირების ჩემპიონები და პრიზიორები.

- როგორ ფიქრობთ, თქვენი შრომა დაფასებულია?

- ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში კარატეს მწვრთნელის სტატუსით გაწეული ჩემი შრომა, ვერ ვიტყვი, რომ სახელმწიფოს მხრიდან დაფასებულია. არ მაქვს ის რესურსი, რაც ბავშვების განვითარებაში დამეხმარება. სამწუხაროდ, არც იმის ხელშეწყობა გვაქვს, რომ ბავშვებმა შეძლონ რამდენიმე შეჯიბრზე გასვლა ისე, რომ საკუთარი ფინანსები არ დახარჯონ. ვერც შეკრებებზე დავდივართ, რადგან არ გვაქვს ამის დაფინანსება. ვხედავ, რომ სხვებს აფინანსებენ. თუ - სხვებს, ჩვენ რატომ არა?

- თქვენს გეგმებზეც გვიამბეთ...

- სამომავლოდ, თუ სასპორტო სკოლასთან თანამშრომლობას გავაგრძელებ, ვგეგმავ, გუნდიდან ერთი და ორი კი არა, ბევრად მეტი ბავშვის გაყვანას მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე, მათ შორის მეც მივიღებ მონაწილეობას ასპარეზობაში.

რა თქვა ვაჟა-ფშაველამ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ?

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

2024 წელი ისტორიას ბარდება. მას, რა თქმა უნდა, კიდევ არაერთხელ გავიხსენებთ, ზოგი - კარგად, ზოგი - ცუდად, მაგრამ ადამიანი იმედით ცოცხლობს, ახალი წელი კი ყოველთვის ახალი იმედებით გვავსებს. ასე იყო სულ. გენიალური ვაჟას „საახალწლო ფიქრებიც“ ხომ ამაზე მიუთითებს... მისი ნაფიქრალ-ნააზრევი დღესაც გვაოცებს, შემთხვევით როდი გამოაცხადა 2011 წელი იუნესკომ ვაჟა-ფშაველას წლად

გადავწყვიტეთ, ვაჟას „შევხვედროდით“ და, როგორც რესპონდენტს,. „გავსაუბრებოდით“, ჩვენი დრო მაშინდელისთვის შეგვდარებინა. როცა „ვეახლეთ“, ის სწორედ თავის „საახალწლო ფიქრებთან“ განმარტოებულიყო და... „საუბარიც“ თავად დაიწყო.

- „ჩემთვის, ფანჯარასთან ვიჯექი, ვფიქრობდი, დიაღ, ვფიქრობდი, როგორც ყველა კაცი იფიქრებს ხოლმე. ამ დროს არა მგონია ისეთი კაცი იყოს, რომ ერთის მხრით უხარიათ ახალი წლის მოსვლა, როგორც ახალი რამ... ამავე დროს წუხს კიდეც... ერთი წელი დააკლდა ჩემს სიცოცხლესო... რასა ვფიქრობდი?.. მაშინდელი დრო შევადარე ახლანდელს... კაცი, რომელიც ხვალინდელი დღისაგან არაფერს მოელის, გადაუწყვეტია იმედი, ცოცხალ-მკვდარია, ის ცოცხლებში ჩასათვლელი არაა“.

- რას ხედავთ, რა განსხვავებაა დღევანდელსა და მაშინდელ დროს შორის?

- „რასა ვხედავ? იქნება თქვენ პესიმისტი ბრძანდებით, არ დაიჯეროთ, მაგრამ დიდი განსხვავება ვნახე; ვნახე, რომ წინ მივდივართ, თანდათან ჩვენი ცხოვრება წინ მიდის, ფერს იცვლის, მაგრამ“...

- წინათ ქვეყნის წახდენა ადამიანის წახდენა იყო...

- „ახლა ეს აღარ ჰგონიათ, ეხლა კუდმელიაობით თითოეულსა ჰსურს თავისი სორო გამართოს მარტო... რა ქვეყანა, რის ქვეყანა... მე კარგად ვარ, ფაშვზე ქონს ვიკრავ, კისერს ვისქელებ, მაშასადამე, ქვეყანაც ხარობსო. დღეს საქმე ისეა დაყენებული, რომ ერთს მეორე სძულს“.

- საზოგადოებაზე რას იტყვით?

- „რა საზოგადოება, რის საზოგადოება, ვის ახსოვს საზოგადო საქმე და ქვეყანა? თითო ოროლა კაცი შებმულა უღელში და რის ტანჯვით და რის ვაინაჩრობით მიათრევენ წელმოწყვეტილნი მძიმე ტვირთს, ნუთუ ეს ცოდვა და სირცხვილი არ არის საზოგადოებისთვის, რომელიც შესდგება გონიერი არსებათაგან - კაცებისაგან?“.

- ახალგაზრდობა როგორი გვყავს?

- „ჩვენს ახალგაზრდობას ბევრი ნაკლი აქვს და ძალიანაც გულითაც რომ გვეწადოს დავადაროთ ჩვენები დასავლეთ ევროპას.... ვერ გავბედავთ იმიტომ, რომ... იქ უფრო მეტ უნარს იჩენს ახალგაზრდობა თავისი ქვეყნის სამსახურად.... იქ საქვეყნო საქმე თავის პირად საქმედ, საკუთარ საქმედ მიაჩნიათ.... მაგრამ თუ სხვა დაიკვეხნის გმირებს, შესანიშნავ მწერლებს, თამამად ჩვენც შეგვიძლია ვახსენოთ სახელები ჩვენი სახელოვანი კაცებისა... დღეს კაცები აღარა გვყავს იმიტომ, რომ საკუთარი ცხოვრებაც აღარ გვაქვს, საკუთარი ინტერესი ჩვენი ქვეყნისა აღარ გვაბარია, საკუთარი აღზრდის წესით აღარ ვიზრდებით“.

- და ევროპაში როგორღა აღიზარდა ერი?

- „უმთავრესი მიზეზები მათი სიკეთისა ეროვნული აღზრდაა; საკუთარს ისტორიას სიყრმიდანვე სწავლობენ, საკუთარის ქვეყნის ინტერესები სიყრმეშივე აწუხებთ; საკუთარის მამულიშვილების კეთილთა საქმეთა სიყრმიდანვე გულში ინერგავენ და თავის ქვეყნის სიყვარულს გულში დღითი დღე ზრდიან. ეს ბავშვობაში აღბეჭდილი კეთილი გრძნობა, დიდობაში აზრადაა გამონასკვული, ძალას იჩენს, მოქმედებს. ჩვენში კი განათლებული კაცი, როცა პირს სიბერისკენ იზამს, მაშინ მოვა ხოლმე გონს, მაშინღა მოფიქრდება და გაოცებული ეკითხება თავის თავს: საღ იყავი აქამდის?.... მერე ცდილობს არგოს თავის ქვეყანას, მაგრამ დაგვიანებული გამოდის ამისთანა ცდა“.

- რაზე უნდა დაფუძნდეს სწავლა-განათლება?

- „საძირკველი პირველდაწყებითი სწავლაა, ამაზე უნდა დაფუძნდეს შემდეგი სწავლა-განათლება. პირველი აღზრდა კი ოჯახიდან იწყობა, იმას სკოლაზე მეტი მნიშვნელობა აქვს, იგი სთესავს თესლს ყმაწვილის გულში, ხოლო სკოლა ჰფარცხავს, ჰმარგლის ამოსულს თესლს, ჰმკის, ლეწავს და ანიავებს. ჩვენებს ვერ შეუგნიათ, რომ ოჯახია თავი და თავი, საფუძველი, საძირკველი ერისა და სახელმწიფოს ყოფა-მდგომარეობისა, ვერ შეუგნიათ, რომ თუ ოჯახი წახდა, მაშინ სკოლაც წამხდარია, უძლური... სკოლა კი ვერას უშველის ოჯახიდან გაფუჭებულს ახალგაზრდას, მით უმეტეს, ახლანდელი სკოლა, სადაც ათასნაირი სხვადასხვა ქსელია გასვლანჯული და გაბმულ-გამობმული“.

- რას ისურვებდით ქვეყნის საბედნიეროდ?

- „რას და .... შეგნებას, დიაღ, შეგნებას, რომელიც ფართოდ უნდა გვესმოდეს, ცხოვრების ავ-კარგი სწორედ ამ შეგნებაზე-შეუგნებლობაზეა დამოკიდებული... ერთი წინ უსწრებს მეორეს შეგნებით და კეთილს, სახეიერო საქმეს იმიტომ იწყებს სხვაზე ადრე, ხოლო, რომელსაც ტვინზე ლობრი გადაჰკვრია და შეგნებასთან მწყრალად ბრძანდება, ის ისეთ ადგილსაა გაჩერებული, შავი და თეთრი იმისათვის ერთია, არაფერი აწუხებს“.

- როგორ ვიცხოვროთ?

- „იღვაწეთ, იშრომეთ, მანამ სული გიდგათ, თავისა და ქვეყნის სასარგებლოდ, ჰღვარეთ ოფლი.... არასოდეს არ გაექცეთ ქვეყნის საქმეს, არამედ ედექით გვერდში... და თუ შემთხვევამ მოიტანოს, მოკვდით კიდეც, რადგან დაბადება და სიკვდილი ძმანი არიან და სიკვდილი სახელოვანი სჯობს სიცოცხლეს უსახელოსა“.

- ახალ წელს რომ ტკბილეულით ვხვდებით, ეს ტრადიცია საიდან მოგვდგამს?

- „ახალ წელს ტკბილეულობის ჭამა, ჩემო კარგო, ადვილი ასახსნელია.... წარსული წლებით გამწარებული კაცობრიობა მომავალ წელს უბედურების ასაცდენად ტკბილეულით ხვდება - წლის პირველ წელს ნაჭამი სიტკბო გაატკბობს ყველა დღეთა მომავლის წლისასაო... ატყუებს რა, ატყუებს ამით კაცობრიობა თავის თავსა“.

- ახალ წელს მაინც ახალი იმედებით ვხვდებით. როგორ დაგვმოძღვრავთ?

- „გულო, არ გატყდე, გამაგრდი,
კლდეო, კლდედ იდეგ სალადა;
... თუ აქომამდე გავძელით,
დღეს მტერი გაგვტეხს ვერარა.
....ღმერთმა დაგვასწროს მრავალსა
ახალ წელსა და შობასა!“.

სურვილების ხურჯინი – თოვლის ბაბუსთვის

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ახალი წლის დიდი მოლოდინი ბავშვებში, უპირველესად, ცნობისმოყვარეობითაა განპირობებული - რა სიურპრიზებით იქნება სავსე მათთვის ეს ჯადოსნური პერიოდი. თოვლის ბაბუსთვის სურვილის მიწერა საახალწლო ტრადიციაა. პატარები სიხარულით ელოდებიან „შეკვეთილ“ საჩუქრებს. იმედით სავსე სურვილები არა მხოლოდ საახალწლო დღესასწაულის ნაწილია, არამედ ცხოვრების საოცარი ეტაპი ბავშვებისთვის. რა სურვილები აქვთ წელს ჩვენს პატარებს...

მეი დიდებაშვილი - 3 წლის:

- თოვლის პაპას საშობაო საჩუქრად ვთხოვე ბალერინა თოჯინა, ვიცი, ნაძვის ხესთან დამახვედრებს. მეც მინდა ბალერინა გავხდე და ბევრი, ბევრი ვიცეკვო ბალერინის კაბით. მიყვარხარ, თოვლის ბაბუ. კიდევ მიყვარს დედიკო, მამიკო, სანდრო...

ემილი აკობია - 8 წლის:

- გამარჯობა, თოვლის ბაბუ, თუ შეგიძლია, მაჩუქო ტელეფონი ან პლანშეტი... ასევე, მინდა, მამაჩემი ჩამოვიდეს საქართველოში (ემიგრანტია). მინდა, რომ იყოს მშვიდობა, ყველა ოჯახი იყოს კარგად და ბედნიერად!

ილია გურეშიძე - 9 წლის:

- იმ თოვლის ბაბუს, რომელიც „ატლანდიაში“ ცხოვრობს, მინდა ვთხოვო ბევრი თოვლი - მთელი აჭარა რომ დაფაროს და, რაც მთავარია - ბათუმი, რომ ბავშვებმა მასთან ერთად თოვლში ბევრი ვითამაშოთ.

ალექსანდრე ვარშალომიძე - 8 წლის:

- თოვლის ბაბუ, საახალწლოდ ისეთი სკამი მომიტანე, რომ დავჯდები, სკოლის დავალებები თავისით გაკეთდეს!

მია ჩართოლანი - 6 წლის:

- ძალიან მინდა „მსუნთქავი“ ბაჭია, რომლის გულიც ანათებს, ესე იგი ძალიან კეთილია, თან სუნთქავს. დედიკომ მითხრა, რომ ბათუმის მაღაზიებში არ იყიდება, მე კი რეკლამაში ვნახე. თოვლის ბაბუ, ძალიან გთხოვ, შენ ხომ ყველაფერი შეგიძლია, შენს ლაპლანდიაში აუცილებლად იქნება „მსუნთქავი“ ბაჭია, მინდა, ჩემი მეგობარი გახდეს, ყველგან თან წავიყვან, ჩამომიყვანე რა...

გიორგი ოკოშვილი - 8 წლის:

- ძალიან მინდა, ამ ახალ წელს თოვლის ბაბუმ თავისი მარხილი და მფრინავი ირმები დამითმოს, რომ ბევრი ვიფრინო და არსად დავაგვიანო.

ანისია აბულაძე - 4 წლის:

- თოვლის ბაბუა, თუ საჩუქარს არ მომიტან, ის მაინც მომწერე, როგორი ლამაზი ვარ!

დათა მიქელაძე - 9 წლის:

- მინდა, საახალწლოდ თოვლის ბაბუამ ნამდვილი დრონი მაჩუქოს, ბათუმის ქუჩებში ავაფრენდი, ზემოდან დავათვალიერებდი სხვადასხვა ადგილს, ძაღლები ყეფით გამომეკიდებოდნენ და მაგარი იქნებოდა.

ელენე ხიმშიაშვილი - 9 წლის:

- თოვლის ბაბუ, ისეთი წიგნი მინდა, რომელიც წაკითხვის გარეშე ისწავლება!

დავით კახიძე - 3 წლის:

- თოვლის ბაბუმ საახალწლოდ მინდა მომიტანოს „ლამბორგინი“ მანქანა, კიდევ ტურისტის მანქანები, ჩურჩხელები და „კამპენტები“.

ნიკოლოზ კახიძე - 7 წლის:

- თოვლის ბაბუმ მინდა, მომიტანოს ყვითელი ტრანსფორმერი სათამაშო მანქანა, კიდევ, ძალიან დიდი ბედნიერება მინდა, ბევრი მედლები და თასები (ვარჯიშობს კარატეში).

თამარ კვაჭაძე - 8 წლის:

- მინდა, თოვლის ბაბუმ ჯადოსნური ფრთები მაჩუქოს. როცა ყველა დაიძინებს, ავფრინდე და ყველა და ყველაფერი ვნახო!

მატა მოწყობილი - 5 წლის:

- თოვლის ბაბუ, ძალიან გთხოვ, საახალწლოდ მომიტანე ბარბის ჩანთა, პომადა, ტუში, „წკაპები“, ქუდი და „ბლაში“. ასევე, ძალიან მინდა აბუდაბიში წასვლა.

დავით მახარაძე - 3 წლის:

- საახალწლოდ მინდა, თოვლის ბაბუამ მაჩუქოს საქართველო! (გულისხმობს საქართველოს ხის რუკის ფიგურებს, რადგან შეყვარებულია საქართველოზე).



მეი დიდებაშვილი
ემილი აკობია
ილია გურეშიძე
ალექსანდრე ვარშალომიძე
მია ჩართოლანი
გიორგი ოკოშვილი
ანისია აბულაძე
დათა მიქელაძე
ელენე ხიმშიაშვილი
დავით კახიძე
ნიკოლოზ კახიძე
თამარ კვაჭაძე
მატა მოწყობილი
დავით მახარაძე

ახალი წლის დღეები – ხულოში

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

ხულოში, საქართველოს მთავრობის ორგანიზებით, საახალწლო ღონისძიება „ახალი წლის დღეები“ გაიმართა

დაბის ცენტრალურ სკვერში განთავსდა საახალწლო სახლები, ფოტოგადასაღები სტენდები და ინსტალაციები. ღონისძიების ფარგლებში მოეწყო საშობაო ბაზრობა, სადაც ადგილობრივი ოსტატებისა და ხელოსნების ნაწარმი და ხელნაკეთი ნივთები გამოიფინა.

ღონისძიების მონაწილეებს მიესალმნენ ხულოს მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი ჯამბულატ მელაძე, ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი, ხულოელთა დელეგატი ვახტანგ ბერიძე.

ყველაზე მეტი დრო პატარების გულის გასახარად გამართულ მხიარულ სტარტებს დაეთმო. მათ თოვლის ბაბუამ საჩუქრები გადასცა.

საახალწლო ღონისძიება ჯგუფ „ფორტესა“ და სხვა მოწვეული ხელოვანების მიერ გამართული კონცერტითა და გრანდიოზული ფოიერვერკით დასრულდა.

- მაქვს პატივი, საქართველოს ამ ულამაზესი კუთხიდან ყველას მივულოცო დამდეგი ახალი წელი. მშვიდობა და კეთილდღეობა დაებედოს პლანეტის ყველა მკვიდრს, - გვითხრა ჯამბულატ მელაძემ.

როგორ შევხვდეთ 2025 წელს?

ახალი წელი მთელ მსოფლიოში წლის უმნიშვნელოვანესი დღესასწაულია, რომელსაც ყველა მოუთმენლად ელის. ის ხომ ახალი ოცნებებისა და სურვილების ასრულების დასაწყისია.

ახალ წელს საქართველოშიც განსაკუთრებით ელოდებიან და სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვაგვარად ხვდებიან.

დამდეგი 2025 წელი მწვანე ხის გველისაა. ასტროლოგები ამბობენ, რომ ამ წლის ენერგია მშვიდი, მაგრამ ძლიერი და გაწონასწორებულია, ამიტომ საახალწლო სუფრის კერძები უნდა იყოს დახვეწილი, ჯანსაღი და ბუნებრივი.

ასტროლოგების თქმით, 2025 წელს სუფრაზე აუცილებლად უნდა გვქონდეს თევზეული და ზღვის პროდუქტები, მაგიდაზე უნდა იყოს ბევრი ბოსტნეული, კენკრა, მარცვლეული, რაც შეეხება ხორცს, უმჯობესია უპირატესობა მიანიჭოთ კურდღლის, ფრინველის ან ღორის ხორცს.

მათივე თქმით, ჩვენს საახალწლო სუფრაზე არ უნდა იდოს ნახევარფაბრიკატები, რადგან გველი უპირატესობას ანიჭებს ბუნებრიობას და სიახლეს, შესაბამისად, ნებისმიერი კონსერვანტი ან ხელოვნური დანამატი იწვევს გაღიზიანებას წლის სიმბოლოში, ასევე, პარკოსნები, რომლებიც ძნელი მოსანელებელია. მწვანე ხის გველს განსაკუთრებით არ უყვარს ცხიმიანი და მაღალკალორიული კერძები, რადგან მას სიმსუბუქე და ზომიერება ურჩევნია.

სუფრა სასურველია იყოს გაფორმებული მკაცრი ნაცრისფერი ან მწვანე ფერით.

რაც შეეხება იმას, თუ სად უნდა შევხვდეთ ამ ულამაზეს დღესასწაულს - როგორც ასტროლოგები ამბობენ, გველს არ უყვარს მარტო ყოფნა, ამიტომ კარგი იქნება თუ ახალ წელს შევხვდებით ოჯახთან, მეგობრებთან და ნათესავებთან ერთად. შეგიძლიათ მოილხინოთ სახლში, კაფეში, რესტორანში ან წვეულებაზე. მთავარია, ირგვლივ მყუდრო, მეგობრული ატმოსფერო შეიქმნათ და მხიარულება და სიყვარული სუფევდეს.

დიზაინერების თქმით, ახალი წლის ღამეს უნდა ჩავიცვათ გველის კანის სტრუქტურისა და ფერის სამოსი. განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება ზურმუხტის ფერს. დიზაინერები ამბობენ, რომ ახალი წლის ღამეს არ უნდა გვეცვას წითელი ფერის ტანსაცმელი.

რაც შეეხება სახლის გაფორმებას, ასტროლოგები გვირჩევენ, რომ სახლი გველის ფიგურებითა და სურათებით გავაფორმოთ, რათა სახლში მისმა აურამ დაისადგუროს.

მწვანე ხის გველი ქალბატონებს წარმატებას ჰპირდება, ხოლო მამაკაცებს - სიმშვიდესა და სტაბილურობას.

ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ!

ყველაზე აქტიური ვეტერანი

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

აჭარის ვეტერანთა სპორტის ფედერაცია (პრეზიდენტი შალვა ტაბაღუა) ყოველ წელს მამაკაცთა და ქალთა შორის სამ-სამ აქტიურ ვეტერან სპორტსმენს ავლენს. წლის ბოლოს მათი მთელი წლის სპორტული აქტივობა ჯამდება

ისინი მუდმივად მონაწილეობენ სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებაში, რომელსაც აჭარის ვეტერანთა სპორტის ფედერაცია სპორტის დეპარტამენტის, ბათუმის მერიის, ბულვარის ადმინისტრაციის მხარდაჭერით ატარებს. სწორედ ამ ღონისძიებებში ნაჩვენები შედეგების დაჯამებით გამოვლინდა სამსამი აქტიური ვეტერანი სპორტსმენი.

ქალბატონებში პირველ ადგილზე ნინო აბაშიძე გავიდა, მეორეზე - მედეა ბიბილეიშვილი, მესამეზე - სვეტლანა უტიანსკაია.

მამაკაცებში პირველი ადგილი ოთარ დოჭვირმა დაიკავა, მეორე - იასონ კამკიამ, მესამე - გოჩა ჭაღალიძემ.

ნათელი სარკმელი – ამ სამყაროში

მე-7 გვერდიდან

ძალიან ადრე გარდამეცვალა დედა, სულ ახლახან დავკარგე მამა, რომელმაც ჩემს ცხოვრებაში ორივე მშობლის როლი იტვირთა. რა თქმა უნდა, მტკივა ეს სიცარიელე. მას ვერაფრით ამოავსებ, თუმცა არასოდეს ვწუწუნებ. ვცდილობ, ყველაზე ნეგატიურშიც ვიპოვო დადებითი.

- თქვენი ოჯახი თქვენი წარმატების საძირკველია...

- უბედნიერესი ბავშვობა მქონდა. ყველა სიკეთის მარცვალი ჩემი სიყრმის წლებიდან მომყვება. ამიტომაც ვანიჭებ უდიდეს მნიშვნელობას მცირე ასაკის ბავშვებში საბაზისო ღირებულებების მყარად ჩამოყალიბებას. დიახ, ჩემი ოჯახი ჩემი წარმატების საძირკველია. მყავს ფილოლოგი მეუღლე - მალხაზ გოგატიშვილი, რომელიც მუდამ მხარს მიჭერს. ორი ვაჟის დედა ვარ, უფროსი - მუხრანი იურისტია, უმცროსი - მახარე - აგროტექნოლოგი, ეკოლოგი. ვამაყობ მათით, რადგან კარგად იციან სიტყვის ფასი და არასოდეს იკადრებენ, რაც მათ ღირსებას ჩრდილს მიაყენებს. მყავს 4 წლის შვილიშვილი - სოფიო გოგატიშვილი, რომელიც ჩემი ლექსების ონავარი მუზაა და რომელსაც ჩემი პირველი საბავშვო კრებული მივუძღვენი.

- ცხოვრებას თავიდან რომ იწყებდეთ, რა გზას აირჩევდით?

- გმადლობთ ამ კითხვისთვის. ვისარგებლებ შემთხვევით და გულისტკივილს გაგიზიარებთ. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დიდხანს ამოდ ვეძებდი სამსახურს. მოგვიანებით კომპეტენციის დადასტურებამ - გამოცდის წარმატებით ჩაბარებამაც ვერ მიშველა. ოფიციალური სამსახური არასოდეს მქონია. ვიცი, ბევრ ბავშვს დავაკლდი. მეც ძალიან დამაკლდნენ ისინი. თავს მხოლოდ იმით ვინუგეშებდი, რომ შვილებთან მეტი დროის გატარების შესაძლებლობა მომეცა. მიხარია, რომ სოციალურმა ქსელმა ვითარება რადიკალურად შეცვალა - საშუალება მომცა, შინიდან გაუსვლელად ვეკონტაქტო პატარებს, ბავშვებამდე მივიტანო ჩემი ფიქრი და სიტყვა. შეცდომებს ყველა ვუშვებთ და რაღაცას ჩემს ცხოვრებაში, ალბათ, მეც შევცვლიდი, თუმცა პრინციპებისთვის არასოდეს მიღალატია. მეორე შესაძლებლობა რომ მომეცეს, რასაკვირველია, კვლავ ბავშვებთან ურთიერთობას ავირჩევდი.

- „ჩვენ, ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ“ - ეს აქსიომაა, მაგრამ... ბევრ ოჯახში მაინც არ აქვთ ეს გაცნობიერებული. როცა ამაზე ფიქრობთ...

- ბევრჯერ მიფიქრია, კარგი იქნებოდა, არსებობდეს მშობლების სკოლა და მხოლოდ ამ სკოლის გავლის შემდეგ აძლევდნენ წყვილებს დაქორწინების ნებას. ბავშვის სული ბროლის სიფრიფანა ჭურჭელივით ფაქიზია. ამ პატარა ადამიანებთან ურთიერთობა მარტივიცაა და რთულიც. ყოველ სიტყვას დიდი სიფრთხილით უნდა შერჩევა. დაუშვებელია სიმკაცრე და სისასტიკე. მე მაქვს ზღაპარი „ჯადოსნური სარკე“. ვურჩევ, წაიკითხონ უფროსებმა, ვისაც ბავშვებთან ურთიერთობა უჭირს და არ გამოსდის. უნდა შეგეძლოს, ბავშვის თვალით შეხედო სამყაროს. ეს უნარი არასოდეს უნდა მოკლა შენში. აი, მაშინ ნახავ, როგორ გაქრება სადღაც ღვარძლი და როგორ იყვავილებს სიკეთე.

- სამი ჯადოსნური სიტყვა...

- ჩემი მშობლები პედაგოგები იყვნენ. ბავშვობაში თუ ურიგო სიტყვა წამოგვცდებოდა, დედა ხუმრობით პირს წყლით გამოგვარეცხინებდა ხოლმე... მამა გვასწავლიდა, რომ სიტყვამ უამრავჯერ შეიძლება შეიცვალოს შინაარსი ინტონაციის მიხედვით. ამიტომ მუდამ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ არა მარტო იმას, რას ვამბობ, არამედ იმასაც, როგორ ვამბობ. ყველა სიტყვას პატივს ვცემ, მაგრამ მიყვარს მარადიულად მანათობელი სიტყვები - სიყვარული, ნდობა, პატიება. ეს სამი სიტყვა შესანიშნავად აგვარებს ურთიერთობებს.

- ერთი თქვენი ლექსი, რომლის წაკითხვას საახალწლო ნაძვის ხესთან ურჩევდით ბავშვებს...

- *„შობის ვარსკვლავი“:*

რა ვარსკვლავია, ცის თაღზე რომ ლაღად ანთია?
ეს პატარების ოცნებათა მისამართია!
რას ჩაუთქვამენ შობის ღამეს, ნეტავ, გულითა?
რომ სავსე იყოს მათი კერა სიყვარულითა!
რომ ამ სიყვარულს დაჰყვებოდნენ, როგორც ლამპარსა,
რომ ეს სამყარო დაემსგავსოს კეთილ ზღაპარსა!
რომ აღარ იყოს ბოროტება, აღარც ომები,
რომ დედამიწას განაგებდნენ ბრძენი გნომები.
ულუკმაპუროდ არ დარჩესო ბავშვი არცერთი
ყველა პაწიას ეკუთვნისო შობა ასეთი!
ყველა პატარა უფლის ტკბილი სეფეწულია,
თავად უფალიც - მარტოოდენ სიყვარულია!

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომძიებელი რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბალდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეროვის ქ. №2
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 26/12/24, 18 00 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

წარმატებული წელი – აჭარის სპორტსმენებისთვის

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

როგორ ხვდებიან აჭარის სპორტული სფეროს წარმომადგენლები ახალ წელს? გასული წლის სპორტულ შედეგებზე აჭარის სპორტის დეპარტამენტის უფროსი ირმა ნიშარაძე გვესაუბრება

- 2024 წელი აჭარის სპორტის დეპარტამენტისთვის საკმაოდ წარმატებული იყო. გარდა იმისა, რომ სპორტსმენებმა ბევრი მედალი მოიპოვეს, არაერთი პროგრამა, პროექტი განვახორციელეთ. ჯამში, საქართველოს, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე 313 მედალი, მათ შორის, 97 - ოქრო, 93 - ვერცხლი, 123 ბრინჯაო მოვიპოვეთ. გაიზარდა სტიპენდიატი სპორტსმენებისა და მათი პირადი მწვრთნელების რიცხვი - ამჟამად სტიპენდიას 93 სპორტსმენი და 46 პირადი მწვრთნელი იღებს. პარიზის ოლიმპიადაზე აჭარა სამი სპორტსმენით იყო წარმოდგენილი, ლიცენზია ჰქონდათ გიორგი ყუშიტაშვილს (კრივი), რამაზ ზოიძეს და ლაშა გობაძეს (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა). მართალია, მათ პრიზები ვერ აიღეს, მაგრამ ოლიმპიადაში მონაწილეობა, თავისთავად, საამაყოა. იმედი გვაქვს და ოპტიმისტურად ვართ განწყობილი, პერსპექტიული თაობა, რომელიც სპორტის სხვადასხვა სახეობაში გვყავს, მომავალ ოლიმპიადაზე აჭარას ოლიმპიურ მედალს მოუტანს. წელს მსოფლიო ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედლები ოთარ აბულაძემ, გელა ბოლქვაძემ აიღეს. დიდი წარმატებები გვაქვს ძალოსნობაში და არა მარტო, ასეა სპორტის არაერთ სახეობაში. მთავრობის მხარდაჭერით, არაერთ პროგრამას ვახორციელებთ. 2023 წლიდან ამოქმედებულ სტიპენდიების პროგრამაში ათობით სპორტსმენი და მწვრთნელია ჩართული, რაც დიდი სტიმული და დამატებითი მოტივაციაა მათთვის. რაც შეეხება ჯილდოებს, სოლიდურადაა გაზრდილი ფულადი ჯილდოს რაოდენობა და იგი მილიონ ლარს შეადგენს. ამ რაოდენობის თანხას ჩემპიონი იღებს, მაგრამ ფულადი ჯილდო გადაეცემათ როგორც ოლიმპიადაზე, ისე

მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე საპრიზო ადგილზე გასულ სპორტსმენებსაც. ამით იმის თქმა მინდა, რომ ფულადი ჯილდოები გასამმაგდა და გაოთხმაგდა კიდეც. წელს განვახორციელეთ მწვრთნელთა ძალიან მნიშვნელოვანი გადამზადების პროგრამა როგორც ადგილობრივ, ისე მუნიციპალურ დონეზე. მიმდინარე წელი იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ სათანადოდ ვუმასპინძლეთ სპორტის სფეროში მოღვაწეთა ფორუმს. ვფიქრობთ, ასეთი ფორუმი მომავალში საერთაშორისო დონეზე ჩავატაროთ. გამოვეცით ძალიან საინტერესო წიგნი „აჭარის სპორტის ფოტოისტორია“ არაერთი უნიკალური ფოტოთი, რომელზეც აჭარის სპორტული ცხოვრებაა აღბეჭდილი და ის ადამიანები არიან წარმოჩენილნი, რომლებმაც სპორტის ესა თუ ის სახეობა განავითარეს. მისი ავტორი გახლავთ ადრე გამოცემული სამაგიდო წიგნის „სპორტი აჭარაში“ და კიდევ არაერთი წიგნის ავტორი, სპორტის დამსახურებული მოღვაწე ლევან ჯიოშვილი. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, პირველად ვაპირებთ მასტერკლასების ჩატარებას წამყვანი სპორტსმენების მონაწილეობით როგორც ქალაქში, ისე მუნიციპალიტეტებში. ეს წამოწყება საკმაოდ მნიშვნელოვანია და განსაკუთრებით გაახარებს დამწყებ სპორტსმენებს - ეს მათთვის დიდი გამოცდილება და ამავდროულად, კარგი მოტივაცია იქნება. ასევე, ვაპირებთ ელექტრონული მართვის სისტემის დანერგვას. ეს გახლავთ ეროვნულ ფედერაციებსა და სამინისტროს შორის ურთიერთობის მოდელი, მართვის ძალიან კარგი ფორმა. საქმისწარმოება წარიმართება ელექტრონულად და ეს გაზრდის როგორც მმართველობის ხარისხს ფედერაციებში, ასევე, კიდევ უფრო გამჭვირვალეს გახდის ჩვენს საქმიანობას. წელს ჩვენი სპორტსმენები ხუთასზე მეტ როგორც ადგილობრივ, ისე გასვლით ღონისძიებაში მონაწილეობდნენ. ვუმასპინძლეთ თორმეტ მაღალი დონის საერთაშორისო ღონისძიებას, მათ შორის, ევროპის ჩემპიონატს, ევროპის თასს, მსოფლიო ჩემპიონატებს, საერთაშორისო ტურნირებს. ვფიქრობთ, რომ არაერთ გამოწვევას ღირსეულად გავართვით თავი. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძეს, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრ მაია ხაჯიშვილს მხარდაჭერისთვის. ისინი მაქსიმალურად არიან ჩართულნი ჩვენს საქმიანობაში. ბიუჯეტი, როგორც მწვრთნელების ხელფასების, ისე პროგრამების მხრივ, გაიზარდა. მათ შორის არიან სპორტის სასახლის მწვრთნელები, რაც მნიშვნელოვანი და კარგი სიახლეა. რაც შეეხება სპორტულ ინფრასტრუქტურას, იგი უმნიშვნელოვანესია სპორტის განვითარებისთვის და ამას ძალიან დიდი ყურადღება ექცევა. გვაქვს როგორც მიმდინარე, ისე დაგეგმილი პროექტები. ახლახან დასრულდა ჩაქვის ძალოსნობის სასახლის მშენებლობა, სადაც ერთ-ერთ დარბაზს ირაკლი თურმანიძის სახელი მიენიჭა. ვულოცავ ირაკლის და წარმატებულ საქმიანობას ვუსურვებ. ასევე, დაგეგმილია ქობულეთის სპორტული სკოლის, ბათუმში - ჭადრაკის სასახლის, ხულოში - კომპლექსური სკოლის მშენებლობები. ბათუმში უმოკლეს დროში აშენდა ქვიშის მოედნები, სადაც საპლაჟო სპორტის სხვადასხვა სახეობაში - ფრენბურთში, ფეხბურთში, ხელბურთში უკვე ჩატარდა საერთაშორისო შეჯიბრებები. ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვიშის სპორტის სახეობების განვითარებას აჭარაში. ამჟამად სპორტის სასახლესთან მძლეოსნობის ასმეტრიანი ბილიკის მშენებლობა მიმდინარეობს. აქტიურ ფაზაშია, ასევე, ყინულის მოედნისა და საცურაო აუზის მშენებლობა. ყინულის არენა მალე დასრულდება, რადგან მოგეხსენებათ, იგი 2025 წელს ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს უმასპინძლებს. სპორტის არაერთ სახეობაში გვყავს ბევრი წარმატებული სპორტსმენი, მათ შორის, ჭადრაკში, მძლეოსნობაში, ჭიდაობაში, კონტაქტურ კარატეში, ძიუდოში... მნიშვნელოვანი წარმატებები აქვთ ჩვენს პარასპორტსმენებს, გვყავს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები, ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ახალი წლის იანვარში შემაჯამებელი ღონისძიება გაიმართება, რომელზეც წარმატებული სპორტსმენები, პარასპორტსმენები, მწვრთნელები, ფედერაციები, კლუბები, გუნდები, ასევე, ვეტერანი სპორტსმენები, ჟურნალისტები დაჯილდოვდებიან. სპორტსმენებს შორის არიან კესარია მგელაძე, ოთარ აბულაძე, ლაშა გობაძე, რამაზ ზოიძე, ზურაბ კინწურაშვილი, თემურ სამხარაძე, რამინ შამილიშვილი, გელა ბოლქვაძე, მამუკა კორძაია, მინდია მგელაძე, დავით მსხალაძე, ლაშა შანთაძე, ლევან პოღოსიანი, მარიამ ნოდია, აჩიკო ბოლქვაძე, ანრი ხოზრევანიძე, რატი ხოზრევანიძე, თორნიკე მიქელაძე, დიეგო ჩხიკვაძე და ბევრი სხვა. დამდეგ შობა-ახალ წელს ვულოცავ სრულიად საქართველოს და, რაც ყველაზე მთავარია, მინდა მშვიდობა ვუსურვო ჩვენს ოჯახებს, მთელ ქვეყანას!

ლევან ცინცაძე – წლის საუკეთესო მწვრთნელი

საქართველოს კონტაქტური კარატეს ეროვნულმა ფედერაციამ გასული წელი შეაჯამა, საუკეთესოები დაასახელა და სასიხარულოა, რომ მათ შორისაა აჭარის წარმომადგენელი, საქართველოს კონტაქტური კარატეს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი, აჭარის კონტაქტური კარატეს ფედერაციის პრეზიდენტი და ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელი კონტაქტურ კარატეში ლევან ცინცაძე

ის საქართველოს ნაკრებს 2023 წლიდან ჩაუდგა სათავეში, მანამდე კი საქართველოს კონტაქტური კარატეს ახალგაზრდულ ნაკრებს ხელმძღვანელობდა.

2024 წელს ჩვენმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე ჯამში 5 ოქროს მედალი დაისაკუთრა. საქართველო პირველი ქვეყანაა ევროპიდან, ვისაც 2025 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ცხრა ლიცენზია აქვს მოპოვებული.

მას შემდეგ, რაც ლევან ცინცაძე აჭარაში კონტაქტურ კარატეს ჩაუდგა სათავეში (ის აჭარის კონტაქტური კარატეს ფედერაციას 2015 წლიდან ხელმძღვანელობს), წარმატებებმა შესამჩნევად იმატა. ის უნარიანად ხელმძღვანელობს სპორტის ამ სახეობას. მისი აღსაზრდელები მნიშვნელოვან წარმატებას აღწევენ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ გამართულ სხვადასხვა მნიშვნელოვან ტურნირზე. სასიხარულოა, რომ გასული წლიდან ფედერაციას პირველად ჰყავს მამაკაცებში 60 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ევროპის ჩემპიონი - მინდია მგელაძე. ამავე კატეგორიაში ლაშა შანთაძემ მესამე ადგილი დაიკავა. რაც შეეხება 90 კილოგრამ წონით კატეგორიას, დავით მსხალაძე დიდებში, მამაკაცებში (სხვათა შორის, ის დიდებში ყველაზე ახალგაზრდაა) უფროს ასაკში გახდა ევროპის ჩემპიონი. მან ასევე მოიპოვა 2025 წლის ტოკიოს მსოფლიო ჩემპიონატზე ასპარეზობის უფლება. მნიშვნელოვანია ის რომ მსოფლიო ჩემპიონატზე წარსდგება მხოლოდ ოთხი სპორტსმენი თითოეულ წონით კატეგორიაში და სწორედ ეს ოთხი სპორტსმენი წარმოადგენს ევროპას და არა - ოთხ ქვეყანას. პირველად კონტაქტური კარატეს ისტორიაში, საქართველოს ნაკრებს ყველა წონით კატეგორიაში ჰყავს კარატისტი.

- ეს წელი ჩვენთვის ძალიან დატვირთული იყო, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ საქართველოსა და აჭარის ნაკრებების ოთხი წევრი - მინდია მგელაძე, ლაშა შანთაძე, დავით მსხალაძე, დათა ფუტკარაძე 2025 წელს ტოკიოში მსოფლიო ჩემპიონატზე იასპარეზებენ, რომელსაც იაპონიის დედაქალაქი მაისის ბოლოსა და ივნისის დასაწყისში უმასპინძლებს, - გვითხრა ლევან ცინცაძემ, - მათთან ერთად ტოკიოში მსოფლიო ჩემპიონატზე 2024 წლის ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი გოდერძი კაპანაძე იასპარეზებს. აღსანიშნავია, რომ ისინი ჩემპიონატზე არა საქართველოს, არამედ ევროპის სახელით გამოვლენ. ასეთი სახით მსოფლიოს ჩემპიონატი ტოკიოში ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება. მასში ევროპის მოქმედი ჩემპიონები, ასევე, მეორე და მესამე ადგილოსანი სპორტსმენები მონაწილეობენ. ამიტომაა ჩემპიონატი ასე მნიშვნელოვანი. ეს უძლიერეს სპორტსმენთა ასპარეზობაა და მასში მონაწილეობა პრესტიჟულია. მინდია მგელაძე, ლაშა შანთაძე (ერთი და იგივე წონით კატეგორიაში გამოვლენ) მოქმედი ევროპის ჩემპიონები და პრიზიორები, საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრები არიან. მათ არაერთხელ ასახელეს საქართველო მაღალი დონის სხვადასხვა ტურნირზე. ვიმედოვნებ, რომ მომავალშიც გაგვახარებენ. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დამდეგი შობა-ახალი წელი მივულოცო ყველას, გამორჩეულად - სპორტის სფეროს წარმომადგენლებს. წარმატებების წელი ყოფილიყოს!